კუკური წიქარიშვილი
ნანა ბოლაშვილი

საქართველოს კარსტული მღვიმეები

მოკლე ცნობარი

საქართველოს კარსტული მღვიმეების ცნობარში შესულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიდი თუ პატარა კარსტული ობიექტის (მღვიმე, უფსკრული, შახტი, ჭა სხვ.) სახელწოდებანი მოკლე მონაცემებით, სულ 1355 ერთეული.

ერთი და იგივე სახელწოდება ხშირად რამდენიმე სპელეოობიექტს აქვს მიკუთვნებული. ასეთ შემთხვევაში სახელწოდებას მითითებული აქვს სათანადო დასახლებული პუნქტი.

როდესაც მღვიმე რამდენიმე სახელით არის ცნობილი, ცნობარში ნაჩვენებია ყველა სახელი ერთად. მაგ., აღმავალი (ახალი ათონის „ძველი", სტალაქტიტური, ფსირცხის) მღვიმე და ა.შ. წიგნში შესულია მღვიმეთა ქართული კუთხური (მეგრული, აფხაზური) სახელწოდებებიც.

The names with brief data of almost all the large and small karst objects (caves, abysses, shafts, wells, etc.) of western Georgia, in total more than 1355 units, are included in the short reference book of the karst caves of Georgia.

One and the same name is often attributed to several speleological objects. In such case, a proper settlement is referred to the appropriate name.

When the cave is known by several names, all of them are displayed together. For example, Aghmavali (Akhali Atoni's "Dzveli", Stalactite, Psirtskha) Cave, etc. The book also includes the Georgian regional (Megrelian, Abkhazian) names of the caves.

იბეჭდება ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით

რედაქტორი გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, კობა ხარაძე

რეცენზენტები: გეოგრაფიის დოქტორი მერაბ გონგაძე
გეოგრაფიის დოქტორი გიორგი ლომინაძე

© ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
© თსუ გამომცემლობა, 2013

ISBN 978-9941-13-297-1

წინასიტყვაობა

საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულები, როგორც ბუნების ფენომენები, უხსოვარი დროიდან იპყრობს ადამიანის ყურადღებას. ისინი ხშირად მოიხსენიება ძველ ქართულ მატიანეებსა და ლიტერატურულ ძეგლებში (ჯუანშერი, რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ.), აგრეთვე უცხოელ მკვლევართა და მოგზაურთა თხზულებებში (სტრაბონი, არქანჯელო ლამბერტი, დიუბუა დე მონპერე, ედუარდ ალფრედ მარტელი და სხვ.). განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ XVIII ს-ის გამოჩენილი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ენციკლოპედიური შინაარსის „საქართველოს გეოგრაფია", რომელშიც მოცემულია საინტერესო ცნობები იმერეთის სოფლების – ძევრისა და მღვიმევის, აგრეთვე რაჭის სოფ. სხვავას ყინულოვან მღვიმესა და სხვა კარსტულ წარმონაქმნებზე, კარსტულ წყაროებზე. მიანიშნებს ქარაფოვან კლდეებში ხელოვნურად ნაკვეთი ქვაბ-სახიზარებისა და გამოქვაბულების არსებობაზე. შეიძლება ითქვას, ვახუშტი ბაგრატიონის ეპოქიდან იწყება საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულების კვლევა.

უკვე გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის საქართველოს კარსტული რელიეფი მოითხოვდა გეგმაზომიერ, სისტემატურ კვლევას და მათ ათვისებას მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიზნით, საჭირო გახდა სპეციალური მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა. აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილისა და პროფესორ ლევან მარუაშვილის ინიციატივით 1958 წელს, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა დოცენტი შალვა ყიფიანი. პარალელურად, იმავე წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დაარსდა სპელეოლოგიური კომისია აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თავმჯდომარეობით. ახლად შექმნილი მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე დაისვა ამოცანა – საქართველოს კარსტის გეოგრაფიული კანონზომიერებების შესწავლა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა კარსტული მღვიმე-უფსკრულების გამოვლენას, კვლევას და აღრიცხვას. მანამ-

დე კი, კერძოდ, 1925 წელს პეტრე ჭაბუკიანმა სათაფლიის მაღლობზე მიაკვლია კარსტულ მღვიმეს, რომელიც მისივე შრომითა და მონდომებით, დროის მოკლე პერიოდში ბუნების ერთ-ერთ იშვიათ სანახაობით ძეგლად გადაიქცა. ამით მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში სპელეოლოგიის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეს.

შემდეგში გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოსაექსპედიციო რაზმების მიერ შესწავლილი და ნაწილობრივ გამოკვლეულ იქნა 300-ზე მეტი სპელეოლოგიური ობიექტი. მოპოვებული მასალების განზოგადების საფუძველზე ლაბორატორიამ 1966 წელს გამოსცა „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი". ყოველ მომდევნო საექსპედიციო სეზონს ახალ-ახალი აღმოჩენები მოჰქონდა, ივსებოდა და მდიდრდებოდა ცოდნა კარსტული მღვიმეების შესახებ, რასაც მოჰყვა „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრის" ახალი გამოცემა (ზურაბ ტატაშიძე, კუკური წიქარიშვილი, ჯუმბერ ჯიშკარიანი, 2009), რომელშიც უკვე 1306 კარსტული მღვიმის მონაცემია შესული. დღეისათვის (01.07.2013), ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით კადასტრირებულ მღვიმეთა (1355) ჯამური სიგრძე 275 კმ, ხოლო სიღრმე 80 კმ-ს უახლოვდება. მათგან უმრავლესობა (948) ბზიფის, არაბიკის, გუმიშხა-ფსირცხის, გუმისთა-ფანავისა და წებელდის (აფხაზეთი) კირქვულ მასივებზეა თავმოყრილი.

გამოკვლეულ მღვიმეთა უმრავლესობა მეცნიერთათვის უცნობი იყო. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: კელასურის, წკვარასა და ამტყელის ფსკერქვეშა მღვიმური სისტემები, ტობას მრავალსართულიანი მღვიმური სისტემა, ცხრაჯვარის ციკლგავლილი მღვიმეები, კუდარო-წონა-ჯრუჭულას პალეოლითური ეპოქის ძეგლები, ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანი, წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმური სისტემა და სხვ. მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. „დიდი" და „უდიდესი" მღვიმეები. პირველ მათგანს მიაკუთვნებენ სიღრუეებს, რომელთა ჯამური სიგრძე 500 მ-ზე ან ამპლიტუდა (სხვაობა მღვიმის ქვედა და ზედა წერტილებს შორის) >100 მ-ზე, ხოლო მეორეს – 5 000 მეტრზე გრძელ მღვიმეებს (ან სიღრუეებს 300 მ-ზე მეტი ამპლიტუდით). ჩვენს ქვეყანაში „უდიდესია" მჭიშთის ვოკლუზის (სიგრძე 20000 მ), წყალტუბო/ყუმისთავის (15500 მ),

ხოლო „დიდი“ – საკიშორეს (4500 მ), აბრსკილის (2500 მ), უშოლთას (2150 მ) და რაც მთავარია ახალი ათონის მღვიმური სისტემა (3285 მ), ერთ-ერთი უდიდესი ევრაზიის კონტინენტზე, რომლის უნიკალურობა მისი მიწისქვეშა დარბაზების გიგანტურობაშია (მოცულობა >1 მლნ $მ^3$).

ქართველი მკვლევრების (ზურაბ ტატაშიძე, ლევან მარუაშვილი, თამაზ კიკნაძე, ბორის გერგედავა, ჯუმბერ ჯიშკარიანი, გივი გიგინეიშვილი და სხვ.) გათვლებით საქართველოს ყველაზე საინტერესო უხვდებიტიანი მიწისქვეშა მდინარეთა აუზები (მჭიშთა, წაჩხურა, ცივწყალა და სხვ.) რამდენიმე ასეული კილომეტრის სიგრძის წყლითა და ჰაერით გამოვსებულ მიწისქვეშა სიცარიელეებს შეიცავს.

საყურადღებოა, რომ მსოფლიოს 1000 მ-ზე ღრმა 96 კარსტული მღვიმიდან 17 ესპანეთშია, 15 – ავსტრიაში, 11 – იტალიაში, 9 – მექსიკაში, 8 – საქართველოში, 6 – საფრანგეთში, 5 – სლოვენიაში და ა. შ. სრული საფუძველი გვაქვს, ჩვენში, სპელეოგამოკვლევების მომავალს ფრიად ოპტიმისტურად და რეალურად ვუყურებდეთ, მით უმეტეს მსოფლიოს ზეღრმა კარსტული უფსკრულების პირველი ათეულიდან ოთხი საქართველოშია – №1, №2 და №3 ადგილებს სწორედ საქართველოს მაღალმთიან კირქვულ მასივებზე მიკვლეული „კრუბერის სახელობის“ (2197 მ) (პირველი ჩასვლა 150 მ სიღრმემდე ქართველმა სპელეოლოგებმა განახორციელეს 1961 წელს, პროფესორ ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით), „სარმას“ (1830 მ) და „ილუზია-თოვლიან-მეჟენის“ უფსკრულები (1753 მ) ინაწილებენ. საქართველოს კარსტულმა მღვიმეებმა უკან ჩამოიტოვა ისეთი ზეღრმა კარსტული უფსკრულები (ლამპრეხტსოფენი – სიღრმე 1632 მ, ავსტრია; მიროლდა – 1626 მ და ჟან-ბერნარი – 1602 მ, საფრანგეთი), რომლებიც წლების მანძილზე დედამიწის „მიწისქვეშა პოლუსად“ იყვნენ მიჩნეულნი. 1000 მ-იან ზღურბლს კი დიდი ხანია გადააბიჯა „ილიუხინის სახელობის“ (1275 მ), „არაბიკის (კუიბიშევი/ჰენრიხის უძირო)“ (1110 მ), „მოსკოვის“ (1125 მ) და „ძოუს“ (1090 მ) უფსკრულებმა, არაბიკაზე.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ზურაბ ტატაშიძე, ლევან მარუაშვილი, შალვა ყიფიანი, ჯუმბერ ჯიშკარიანი, არსენ ოქროჯანაშვი-

ლი, ბორის გერგედავა, ომარ ერქომაიშვილი, თამაზ კიკნაძე, გივი გიგინეიშვილი, კუკური წიქარიშვილი, დავით სიმონიშვილი, ზაზა ლეჟავა, კიაზო რაქვიაშვილი, თამაზ ქობულაშვილი, ამირან ჯამრიშვილი, ვახტანგ კაპანაძე, გიორგი გელაძე და სხვ.), აგრეთვე სხვადასხვა დროს ექსპედიციებში დროებით მოწვეულმა მოყვარულმა სპელეოლოგებმა (ლადო ქალდანი, რობერტ ნავერიანი, გიორგი გვიმრაძე, რობერტ სუჯაშვილი, ჯუმბერ ხომასურიძე, ჰამლეტ მაისაია, გივი სმირი, ვერნი ალფაიძე და სხვ.) მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს ახალი ათონის, სათაფლიის, წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმური სისტემების შესასწავლად, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ბუნების ამ შესანიშნავი სპელეოობიექტების ტურისტული მიზნებისათვის აღჭურვას.

საქართველოს კარსტული მღვიმეების კომპლექსური კვლევის საქმეში დიდია პეტრე ჭაბუკიანის, ალიოშა ჯაფარიძის, დომენტი მშვენიერაძის, დემურ ტაბიძის, კარლო ლიფონავას, გივი გიგინეიშვილის, ილია აფხაზავას, ჭიჭიკო ჯანელიძის, გარსევან კურდღელაიძის, ელენე აბაშიძის, ნანა მამაცაშვილის, რეზო ხაზარაძის, კობა ხარაძის, ნიკოლოზ ასტახოვის, ედუარდ ნაკაიძის, მოსე და ელენე სოხაძეების, დავით მატკავას, იგორ ბონდირევის, მერაბ გონგაძის, კუკური მგელაძის, რეზო ჯანაშვილის, კოტე ჯავრიშვილის, გრიგოლ დევდარიანის, ზურაბ აძინბას, დავით და ნიკა თუშაბრამიშვილების, გივი გაფრინდაშვილის, აბესალომ ვეკუას, იორამ თარხან-მოურავის, გივი ჯაშის, დავით ციციშვილის, ავთანდილ თარხნიშვილის, გრიგოლ ტაბაღუას, ავთანდილ ამირანაშვილის, ვიქტორ ჩიხრაძის, ომარ ლანჩავას, მერაბ თათარიშვილის, ოთარ ჩხეიძის, ალიმ თვალთვაძის, დავით დვალის, თენგიზ მეშველიანის, გოდერძი სამხარაძის, გიორგი დვალაშვილის, ლაშა ასანიძის, ლადო ქალდანის, იური ავდალოვის, გვანჯი მანიას, ოთარ ბენდუქიძის, შალვა ბარჯაძის, ელისო და ერისტო ყვავაძეების, საშა ბუხნიკაშვილის, იგორ და ბაჩანა ფიჩხაიას, რუსლან ქარჩავას, რომან, ლადო, დათო და ირაკლი თოლორდავას, მამუკა ნიკოლაძის, ვახტანგ ჩიხრაძის, ელგუჯა ჯამრიშვილის და სხვა მონათესავე სპეციალობების მეცნიერთა და მოყვარულ სპელეოლოგთა ღვაწლი.

საქართველოში უღრმესი კარსტული მღვიმეების აღმოჩენასა და კვლევაში, ქართველ სპელეოლოგებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რუსეთის, უკრაინის, ლიტვის სხვადასხვა ქალაქების (ვორონეჟი, დნეპროპეტროვსკი, ირკუტსკი, კიევი, კაუნასი, კრასნოიარსკი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, ნოვოკუზნეცკი, ნოვოსიბირსკი, პერმი, სიმფეროპოლი, ტომსკი, ჩელიაბინსკი და სხვ.), აგრეთვე საფრანგეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვენიის და ევროპის სხვა წამყვანი სპელეოლოგიური ქვეყნების სპელეოსექციებისა და ფედერაციების კარგად გაწვრთნილ პროფესიონალურ და მოყვარულ სპელეოლოგთა საექსპედიციო რაზმებს, რომელთა მიერ მიკვლეული და ავტორების გადამუშავებული რიგი კარსტული ჭებისა და შახტების მორფომეტრიული მონაცემები, სიღრუის შიფრისა და სპეციალური საკადასტრო ნომრის მიხედვით ნაჩვენებია ტერმინების განმარტების ბოლოს, დანართში – ცხრილის სახით (454 ერთეული).

ქართულ საექსპედიციო რაზმებს ველზე მუშაობის დროს დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, მოყვარული, ენთუზიასტი სპელეოლოგები: გივი სმირი (ახალი ათონი), ბიჭია გაფრინდაშვილი, გივი მოდებაძე, ბესიკ ღვალაძე, დათო და ავთო ხვედელიძეები (ჭიათურა), იმედო, გიორგი (ჟორა), შოთა, ამირან, ვაჟა ტყაბლაძეები, გურამ სვანიძე (წყალტუბო), ვალერი შენგელია, როლანდ ქვარცხავა (ჩხოროწყუ), მურმან და იგორ ბოჯგუები (სენაკი), გორდეზ, ფაზა, რევაზ ქარდავა, ლევან ქუხილავა (წალენჯიხა), იპოლიტე გოჩელაშვილი, გია ბუბაშვილი, გიგა დოღონაძე (ცუცხვათი), იგორ კეკელია (მარტვილი) და ათობით ახალგაზრდა, სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი და საჯარო სკოლის მოსწავლეები.

წინამდებარე ცნობარში შეტანილია ქართველი მკვლევარების მიერ წლების (1958-2013) მანძილზე მეტად რთულ საველე გეომორფოლოგიურ და გეოლოგიურ პირობებში მოპოვებული 900 კარსტული მღვიმის მოკლე საკადასტრო მონაცემები. ისინი ანბანურად არის დალაგებული. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ავტორების (ფერადი) და ზურაბ ტატაშიძის და ომარ ერქომაიშვილის (შავ-თეთრი) ფოტომასალა. მღვიმეთა გეგმები, ჭრილები და ბლოკ-დიაგრამები კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებთან

(ჯუმბერ ჯიშკარიანი, დემურ ტაბიძე, ბორის გერგედავა, ვახტანგ კაპანაძე, ზაზა ლეჟავა, თამაზ ქობულაშვილი და სხვ.) ერთად ეკუთვნით საქართველოს კარსტულ ზოლში, სხვადასხვა წლებში მომუშავე უცხო ქვეყნის სპელეოსაექსპედიციო რაზმებს.

სათანადო პატივი უნდა მივაგოთ აწ გარდაცვლილი გამოჩენილი მამულიშვილების – აკადემიკოს ნიკო კეცხოველის, პროფესორ ლევან მარუაშვილის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ ტატაშიძის, მეცნ. დოქტორ თამაზ კიკნაძის, დოცენტების შალვა ყიფიანის, ბორის გერგედავას და სხვა მკვლევრების ნათელ ხსოვნას, რომელთაც ბევრი გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ პრიორიტეტული და პრესტიჟული სამეცნიერო დარგის – მღვიმეთმცოდნეობის დაფუძნებისათვის.

ლევან მარუაშვილი
(1912-1992)

ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, კარსტოლოგი, სპელეოლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო და ვახუშტი ბაგრატიონის პრემიების, ნ. მ. პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი. ლევან მარუაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიის ინსტიტიტში სპელეოლოგიური ლაბორატორიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სპელეოლოგიური კომისიის, ხოლო რესპუბლიკის სპორტის კომიტეტთან სპელეოსპორტული ფედერაციის დაარსებაში; პარალელურად დაამუშავა რიგი ზოგადთეორიული საკითხები კარსტის პრობლემატიკაში, მათ შორის კარსტოსფეროს სივრცის სხვა გეოსფეროებთან ურთიერთობისა და აღნაგობის ცნებები, კარსტულ მღვიმეთა სართულიანობის გენეზისი, მორფოლოგიური კლასიფიკაცია და ურთიერთობა ტერასთწარმოქმნასთან, სამეგრელოს მაგალითზე კლასტოკარსტის შესაძლო მასშტაბები და გენეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი და მრავალი სხვა, რითაც საქართველოში მეცნიერების ახალი დარგის – კარსტმცოდნეობის (მღვიმეთმცოდნეობის) ერთ-ერთი დამფუძნებლის სახელი დაიმკვიდრა. 1957 წელს მისი რედაქტორობით და წინასიტყვაობით („სპელეოლოგიური გამოკვლევების პერსპექტივები საქართველოში") გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი მკვლევარის ნორბერტ კასტერეს სამეცნიერო-პოპულარული წიგნის („ათი წელი მიწის ქვეშ") პირველი ქართული გამოცემა, ხოლო ცოტა მოგვიანებით (1963) მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი – „შუქი ბნელეთში". ამ დროისათვის ქართულ ენაზე არ იყო დაბეჭდილი მსგავსი მონოგრაფიები, რამაც დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდობის მღვიმეებით დაინტერესების საქმეში. 1973 წელს გამოქვეყნდა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის – „მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები", რამაც ასევე დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ლევან მარუაშვილმა ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებას, და მათ შორის, საქართველოს სპელეოლოგიასა და კარსტმცოდნეობას მიუძღვნა.

ზურაბ ტატაშიძე
(1928-2011)

ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, კარსტოლოგი, სპელეოლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი სპელეოლოგიას – კარსტული მოვლენების მეტად რთული პრობლემების კვლევას განეკუთვნება, რაშიც მან დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო საქართველოს, არამედ ურალის, მთიანი ყირიმის და ევროპის სხვა წამყვანი ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იუგოსლავია და სხვ.) მასშტაბით. პროფესორ ლევან მარუაშვილთან ერთად იგი ახალი, პრესტიჟული სამეცნიერო მიმართულების – მღვიმეთმცოდნეობის ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. განუზომელია მისი ღვაწლი არაბიკის, ბზიფის, ოხაჩქუეს, რაჭის, გუმიშხა-ფსირცხის და საერთოდ, საქართველოს კირქვული მასივების კვლევაში. სენსაციური იყო 1987-88 წლების შედეგები, როცა მისი აქტიური მონაწილეობით გამოვლინდა დედამიწაზე ინდიკატორული ექსპერიმენტებით დადასტურებული უღრმესი (2345 მ) „ნაფრა-მჭიშთას“ ჰიდროგეოლოგიური სისტემა. ამ ფაქტმა საერთაშორისო მნუიშვნელობა შეიძინა, ხოლო საქართველოს კარსტულმა ფენომენებმა უცხოელ მკვლევართა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. პროფ. ლევან მარუაშვილთან ერთად მის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი იქნა „კარსტოსფეროს“ ცნება. დიდი წვლილი შეიტანა კარსტული მღვიმეების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი სისტემატურად გადაიცემოდა მის მიერ მომზადებული პუბლიცისტური ნარკვევები, კითხულობდა ლექციებს საქართველოს უნიკალური მღვიმური სისტემების მნიშვნელობის შესახებ. ჩატარებულმა ღონისძიებებმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდობის მღვიმეებით დაინტერესების საქმეში. იგი გახლდათ ახალი ათონის მღვიმური სისტემის 1961 წლის სპელეოექსპედიციის მოიერიშე რაზმის ხელმძღვანელი. ამ უნიკალური მიწისქვეშა ძეგლის აღმოჩენასა და შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ავტორთა კოლექტივთან ერთად ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1977).

შალვა ყიფიანი
(1912 — 1994)

ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, კარსტოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში 1958 წელს ახლად შექმნილი კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორიის გამგე, რომელსაც იგი 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. ახალ ათონში ჩატარებული პირველი სპელეოლოგიური ექსპედიციის (1961) ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო შრომები ძირითადად საქართველოს კარსტული რელიეფის გამოკვლევა-შესწავლას ეძღვნება. დაჯილდოებულია სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს, აფხაზეთისა (1966) და საქართველოს (1984) უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით (1976).

ბორის გერგედავა
(1931-2007)

ქართველი გეოგრაფი, სპელეოლოგი, კარსტოლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ახალი ათონის მღვიმის ერთ-ერთი პირველ აღმომჩენთაგანი. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საერთოდ კავკასიის კლასტოკარსტული მღვიმეების აღმოჩენასა და კვლევაში. მანვე დაადასტურა მღვიმეთა კომპლექსის, როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული ელემენტის გამოყოფის იდეა. განსაზღვრა მღვიმეების ლანდშაფტის საგანი. წამოაყენა ახალი შეხედულება მღვიმესა და მის ფორმათწარმოქმნაზე. შეიმუშავა

მლვიმეების გენეტური, მორფოლოგიური და კლიმატო-ჰიდროლოგიური კლასიფიკაციები. დიდი წვლილი შეიტანა სპელეოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციისა და პროპაგანდის საქმეში. საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში კითხულობდა ლექციებს, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომებს. დაჯილდოებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1966).

თამაზ კიკნაძე
(1936-1991)

ქართველი გეოლოგი, კარსტოლოგი, სპელეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960 წლიდან მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში სპელეოლოგიური საბჭოს სწავლული მდივნად. თამაზ კიკნაძის კვლევის საგანს კარსტო- და სპელეოგენეზის პრობლემები შეადგენდა. მრავალი წლის მანძილზე ველზე მოპოვებული მეცნიერული შედეგების საფუძველზე ჩამოაყალიბა ბუნებრივი ფაქტორების გავლენა კარსტული პროცესების დინამიკაზე. არაბიკის კირქვული მასივის მაგალითზე დაადგინა მთიანი ქვეყნების კარსტისა და კარსტული წყლების ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბა ახალი მეცნიერული მიმართულება – მოძღვრება მთის კარსტის მიწისქვეშა ნაკადებზე. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უღრმესი კარსტული წყალშემცველი სისტემა გაგრის ქედზე. წლების მანძილზე (1978-89) იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპელოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოების პერზიდენტი. დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგიური საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედლით (1987).

არსენ ოქროჯანაშვილი
(1930-1965)

ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ასხის კირქვულ მასივზე ტრაგიკულად დაღუპული სპელეოლოგი არსენ ოქროჯანაშვილი იყო პირველი, რომელიც გზას კვალავდა ახალი ათონის მღვიმის მანამდე უცნობ მინისქვეშა დარბაზებსა და ხვრელებში. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კარსტის შესწავლაში. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა გუმიშხა-ფსირცხის, გუმისთა-კელასურის, ოკრიბა-არგვეთის, წებელდის, ბზიფის, არაბიკისა და ასხის კირქვული მასივების შემსწავლელ სპელეოექსპედიციებში.

ახალი ათონის მღვიმის აღმოჩენაში შეტანილი დიდი წვლილისათვის სხვა ქართველ მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად იგი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით (1977) დაჯილდოვდა (სიკვდილის შემდეგ). მის სახელს ატარებს მღვიმე ასხის კირქვულ მასივზე.

დემურ ტაბიძე
(1933-2006)

ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. ინსტიტუტში ახლად შექმნილი კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდა სპელეოექსპედიციებში ხვამლის, ასხის, მიგარიას, წებელდის და ოხაჩქუეს კირქვულ მასივებზე. საფუძველი ჩაუყარა ბუნების ქანდაკებისა და გეოგრაფიული ფერწერის შესახებ მეცნიერებისა და ხელოვნების ახალ მიმართულებას. შედგენილი აქვს წებელდის კირქვული მასივის, ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულის, აფიანჩისა და შაქურანის მღვიმოვანის ბლოკ-დიაგრამები, მღვიმეების გეგმები და ჭრილები, გავრცელების სქემატური გეგმები.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ქართველი გეოგრაფი, სპელეოლოგი, ჟურნალისტი.მისი უშუალო მონაწილეობით შესწავლილია 400-მდე მღვიმე და უფსკრული, მათ შორის ახალი ათონის ცნობილი მღვიმე, რომლის პირველი თვალზომითი და ინსტრუმენტალური აგეგმვაც მან ჩაატარა. განუზომელია მისი ღვაწლი 1984 წელს წყალტუბოს რაიონის ს. ყუმისთავში უნიკალური მღვიმური სისტემის აღმოჩენის, სამეცნიერო კვლევისა და ტურისტული მიზნებისათვის კეთილმოწყობის საქმეში (გაიხსნა 2011 წლის მაისში). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ უნიკალური მღვიმის სამეცნიერო – კვლევით და სამშენებლო სამუშაოებს. მის მიერ გამოქვეყნებულმა 500-ზე მეტმა სამეცნიერო-პოპულარულმა ნაშრომმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში კარსტული მღვიმეების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

სპელეოლოგიური ტერმინები

გამოქვაბული –კლდეში ხელოვნურად გამოკაფული სათავსები, რომლებსაც საცხოვრებლად, თავშესაფრად, პირუტყვის სადგომად, საკულტო, სამეურნეო და სხვა სახის დანიშნულებისათვის იყენებდნენ.

გვირაბი – დიდი განივკვეთის მქონე ჰორიზონტალური ან სუსტად დახრილი დერეფანი. გვირაბი შეიძლება იყოს კარსტული, ლავური, სუფოზიური, ხელოვნური და სხვ.

ეხი –1. ფართოპირიანი პატარა კარსტული მღვიმე ან გამოქვაბული, თაღოვანი ჭერით. 2. მღვიმის გაგანიერება ვიწრო გასასვლელის შემდეგ. სინ.: „გროტი“.

კარსტული მასივი – მორფოლოგიურად და ჰიდროგეოლოგიურად მეტნაკლებად განცალკევებული ტერიტორია, რომელიც იმეორებს მიმდინარე კირქვული მასივის ბუნებრივ პირობებს ან განსხვავდება მისგან. კირქვული ზოლი იყოფა ცალკეულ მასივებად. საქართველოს კირქვულ ზოლს ტრანზიტული მდინარეები ასამდე განცალკევებულ დიდ (არაბიკა, ბზიფი, ასხი, რაჭა) და მცირე (ოხაჩქუე, ყვირა, გაუჩა, მიგარია და სხვ.) მასივებად ყოფს.

კარსტული მღვიმე – დედამიწის ქერქის ზედა ფენებში წყალში ადვილად ხსნადი ნაპრალოვანი ქანების (კირქვა, დოლომიტი, თაბაშირი და სხვ.) გახსნისა და გადარეცხვის შედეგად წარმოშობილი ბუნებრივი სიღრუე. მიწის ქვეშ არსებულ ბუნებრივ სიღრუეთა ზოგად ტერმინად მიღებულია „მღვიმე“.

კარსტული უფსკრული – კარსტვად ქანებში ჩასახული ჭებისა და შახტების რთული სისტემა, სადაც ვერტიკალურ მონაკვეთებთან ერთად მორიგეობენ ჰორიზონტული და დახრილფსკერიანი დერეფნები. ქვედა ნაწილებში გაედინებიან წყალუხვი მდინარეები. დედამიწის უღრმესი კარსტული უფსკრულია „კრუბერი“ (სიღრმე 2197 მ), ბზიფის ქედზე. საქართველო კარსტული უფსკრულების ნამდვილი სამეფოა. აქ უკვე მიკვლეულია 1000 მ-ზე ღრმა 8 უფსკრული.

კარსტული შახტი – ვერტიკალური სიღრუე ცვალებადი და დარბაზისებური განივკვეთებით. წარმოიქმნება აერაციის ჰიდროდინამიკურ ზონაში.

კარსტული ჭა – ვერტიკალური, ვიწრო, უწესო ფორმის ხვრელი, რომელიც სიღრმეში იხშობა ან მღვიმეს უერთდება. წარმოიშობა მიწისქვეშა სიღრუის თაღის ჩაქცევით ან ნაპრალის გასწვრივ მოძრავი აგრესიული წყლების მოქმედებით. შახტისაგან იგი ნაკლები სიღრმით განსხვავდება.

მრავალსართულიანი მღვიმე – ორ ან მეტ დონეზე განლაგებული და ერთმანეთთან დაკავშირებული მღვიმეების სისტემა (მაგ., ცუცხვათის 13 სართულიანი მღვიმური სისტემა).

მღვიმე-ესტაველა – სიღრუე, რომელიც ხან წყლის მშთანთქმელად გვევლინება, ხან კი როგორც წყარო, რომელიც წყალს ჰიდროსტატიკური წნევის ზეგავლენით ამოანთხევს ზედაპირზე.

მღვიმე-საყინულე – ბუნებრივი ან ხელოვნური სიღრუე, რომელიც მთელი წლის მანძილზე ინარჩუნებს 00-იან და უფრო დაბალ ტემპერატურას. ჭერიდან ჩამოსული წყალი იყინება და სხვადასხვა ფორმის ნაღვენთებს წარმოშობს. საქართველოში ცნობილია ნიკორწმინდის, ბოგას, სხვავას (მღვიმური), ხორხების, საბაწმინდის და სხვა ბუნებრივი საყინულეები.

მღვიმის გაჭიმულობა – სპელეოობიექტის ვერტიკალური, დახრილი და ჰორიზონტალური გასასვლელების ჯამური სიგრძე.

მღვიმოვანი – ჰიდროლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებული კარსტული მღვიმეების რთული სისტემა ან ჯგუფი (მაგ., ფლინტ-მამონტი აშშ-ში, სიგრძე 626 644 მ; ახალი ათონი საქართველოში (აფხაზეთი), 3285 მ, წყალტუბოს მღვიმოვანი >15 550 მ, ცუცხვათის მრავალსართულიანი სისტემა და სხვ.).

ჩანაქცევი – ჩნდება ტექტონიკური დაძირვის, მიწისძვრის და კარსტული მოვლენების დროს, აგრეთვე დეფორმირებულ მინისქვეშა გამონამუშევრებზე.

დასავლეთ საქართველოს კირქვულ ზოლში ზოგიერთი კარსტული მღვიმის გავრცელების

რ უ კ ა



მღვიმეების დასახელება

1 ᲙᲠᲣᲞᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲰ.
2 ᲡᲐᲠᲘᲐ
3 ᲠᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲰ.
4 ᲔᲚᲘᲡᲑᲔᲗᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ
5 ᲑᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ
6 ᲑᲣᲚᲣᲒᲣᲠᲘᲐᲜᲘ
7 ᲫᲘᲠᲘ
8 ᲬᲧᲐᲠᲝ
9 ᲞᲘᲠᲘᲛᲑᲠᲘᲚᲘ
10 ᲞᲘᲠᲘᲛᲑᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲰ.
11 ᲛᲝᲠᲬᲚᲘᲡᲛᲬᲤᲔᲚᲘᲡ
12 ᲛᲭᲘᲨᲗᲘᲡ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ
13 ᲖᲔᲛᲝ ᲥᲣᲗᲘᲡ
14 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲮᲘᲡᲘ
15 ᲥᲣᲗᲣᲠᲘᲡ
16 ᲐᲮᲡᲐᲠᲚᲘᲡ
17 ᲯᲣᲚᲘᲡ
18 ᲙᲝᲠᲬᲮᲔᲚᲘᲡ
19 ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘᲡ
20 ᲥᲐᲚᲐᲪᲘᲡ
21 ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲝᲡᲘᲡ
22 ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ Ჭ.
23 ᲛᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲐᲯᲘᲡᲣᲚᲘ
24 ᲛᲔᲠᲘᲜᲯᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲰ.
25 ᲬᲘᲚᲙᲜᲘᲡ (ᲪᲘᲡᲐᲠᲘᲡᲘ)
26 ᲡᲐᲛᲔᲚᲔᲗᲘᲡ
27 ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲘ
28 ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ
29 ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ
30 ᲙᲠᲣᲞᲝᲕᲘ
31 ᲬᲘᲜᲐᲠᲘᲡ (ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ)
32 ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲯᲕᲠᲘ
33 ᲮᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ
34 ᲮᲘᲚᲘ
35 ᲑᲘᲯᲘ
36 ᲡᲐᲥᲘᲠᲔᲚᲘᲡ (ᲜᲘᲙᲝᲠᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ)
37 ᲡᲐᲥᲘᲠᲔᲚᲘ
38 ᲡᲮᲘᲐᲠᲘ
39 ᲣᲜᲘᲚᲝᲜᲘ
40 ᲥᲣᲠᲜᲘ
41 ᲬᲘᲜᲐ

სიტყვათა შემოკლებანი

ადგ. – ადგილი
აღმ. – აღმოსავლეთი
აღმ-კენ –აღმოსავლეთისაკენ
დას. – დასავლეთი
დას-ით – დასავლეთით
ზ. დ. – ზღვის დონიდან
იხ. – იხილე
კურ. – კურორტი
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მდ. – მდინარე
მუნიციპ-ი – მუნიციპალიტეტი
მწვ. – მწვერვალი
ს. – სოფელი
სამხრ. – სამხრეთი
სამხრ-ით – სამხრეთით
სამხრ.-აღმ. – სამხრეთ-აღმოსავ-ლეთი
სამხრ.-აღმ-ით – სამხრეთ-აღმო-სავლეთით
სამხრ.-დას. – სამხრეთ-დასავლე-თი
სამხრ.-დას-ით – სამხრეთ-დასავ-ლეთით
ჩრდ. – ჩრდილოეთი
ჩრდ-ით – ჩრდილოეთით
ჩრდ.-აღმ. – ჩრდილო-აღმოსავ-ლეთი
ჩრდ.-აღმ-ით – ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით
ჩრდ.-დას. – ჩრდილო-დასავლეთი
ჩრდ.-დას-ით – ჩრდილო-დასავლე-თით

შენიშვნა:

ზ. დ. 205 (15) მ სიმაღლეზე – ზღვის დონიდან 205 - აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან); (15) შეფარდებითი სიმაღლე ხეობის ფსკერიდან, ტერასიდან და სხვ.).

ა

აბანოს მღვიმე – ჩხორონწყუს მუნიციპ-ი, ს. ნაკიანის ტერიტორიაზე, მდ. ოჩხომურის მარჯვენა შენაკად ბუმეს ხეობაში, მდ. ჭალაგანას მარჯვენა მხარეს, ყალიჩონას კლასტოკარსტული მღვიმიდან 300 მ-ის დაშორებით, ზ. დ. 200 მ სიმაღლეზე. მეანდრირებული ტიპის სიღრუე იწყება მომცრო შესასვლელით, რომლიდანაც წყლის ნაკადი გამოედინება და იქვე მახლობლად მდებარე ხელოვნურ ტბორს უერთდება. მღვიმის სიგრძე 150 მ აღწევს.

აბაცის უფსკრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის დას. ერდობის რაიონში, ბოგუმინის შახტის მახლობლად, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 514 მ-ს შეადგენს.

აბაშის მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. აბაშის აუზი, ს. ბალდის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 550 (25) მ სიმაღლეზე. გამოკვლეული მონაკვეთის სიგრძე 40 მ-ს შეადგენს.

აგლუხვარას მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, დინების შუა წელში, მარცხ. შენაკადის მდ. დიდი ძოკის შეერთების ადგილიდან სამხრ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 720 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 35 მ-ს აღწევს.

აბრსკილის (აბლასკირის, ჭლოუს, აჩხიტიზგოას) მღვიმე – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, ს. ოტაპის ჩრდ.-აღმ-ით 1-2 კმ-ზე, ზ. დ. 210 მ სიმაღლეზე. შესასვლელი 4 მ სიგანისა და 2 მ სიმაღლის ხვრელია, რომელიც სიღრმეში გვირაბის ფორმას იღებს და სწორხაზოვნად მიემართება აღმკენ 2000 მ სიგრძის ზოლში. დერეფნის სიგანე (3-4 მ) მთელს მანძილზე თითქმის თანაბარია, სიმაღლე კი

აბრსკილის მღვიმეში

იშვიათად აღემატება 10 მ-ს. ბოლოში სიფონური ტბაა, რომლის მიღმა გვირაბების შემდგომი სისტემები 480 მ მანძილზე გრძელდება. მღვიმის ცალკეულ ადგილებში კირქვიანი შრეების რღვევის შედეგად გაჩენილ დარბაზებს შორის გამოირჩევა „ჭაღებიანი", „ფარდებიანი", „ლეგე-



ნდების“, „მეანდრების“, „გუმბათისებური“, „გიგანტური” და სხვ. დარბაზები. აბრსკილი ერთ-ერთი უდიდესი (ჯამური სიგრძე 2500 მ) და ულამაზესი მღვიმეა კავკასიაში.

აბტოზის მღვიმე – გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე, ოხაჩქუეს კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ენგურჰესის მიდამოებში, ზ. დ. 655 მ სიმაღლეზე. მღვიმე 60 მ სიგრძეზე გაუვალი ნაპრალით იქოლება.

აგუმავას მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, დურიფშის პლატო, XI ბრიგადის ტერიტორიაზე, მდ. გუდაუს აუზი. ჰორიზონტალური, დახშული, ვიწრო გასასვლელებიანი გვირაბის სიგრძე 85 მეტრს შეადგენს.

აგცის (ანუხვის) მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვა, ადგ. აგცას მიდამოებში, ზ. დ. 320 მ სიმაღლეზე. 7 მ სიგრძის მღვიმის კედლებზე პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეების დროინდელი ნახატები და ძველი ქართული ასომთავრული წარწერებია შემორჩენილი. მღვიმეს წარსულში საკულტო და რელიგიური მიზნებისათვის იყენებდნენ.

აზლაგარის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. ხიფსთას აუზი, დურიფშის პლატოზე. 120 მ სიგრძის სუბჰორიზონტალური, განშტოებებს მოკლებული დახშული სიღრუე.

ათონი–75-ის ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ახალი ათონის რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. 55 მ სიღრმის ჭა.

ათონის მთის ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის ჩრდ-ით, ათონის მთის ჩრდ. ფერდობი, ზ. დ. 350 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 60 მ-ს აღწევს.

ათონის I ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. მაანიკვარას აუზის ზემო წელი, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ოქტომბრის მღვიმის სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 600 მ სიმაღლეზე. სიღრმე 48 მ-ს შეადგენს.

აკვანა – ჭიათურის მუნიციპ-ი, მდ. შუქრუთისწყლის აუზი, ხეობის მარჯვ. შვეულ ფერდობზე, ზ. დ. 710 (90) მ სიმაღლეზე. 2,5 მ სიგრძის, 3,5 მ სიგანისა და 1,6 მ სიმაღლის კლდოვანი ფარდული.

ალბოვის უფსკრული – წალენჯიხის მუნიციპ-ი, ყვირას მასივის უმაღლესი მწვერვალის დას-ით, მდ. მოროჟას აუზი, „ქვაქანცალიასთან“ ახლოს, ზ. დ. 1900 მ სიმაღლეზე. ვერტიკალური და დახრილფსკერიანი მონაკვეთების მორიგეობით

უფსკრული ჩასასვლელიდან 45 მ სიღრმეზე ებმის მოზრდილ დარბაზს და იქვე მთავრდება.

ალექსანდროვკის მღვიმე – იხ. კელასურის მღვიმე.

ალექსინსკი (им. Алексинского) გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. „ოსტრენკაიას" რაიონში, ზ. დ. 2230 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 465 მ, სიგრძე 1500 მ-ს შეადგენს.

„ალკორის" მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, ხვამლის მასივი, ბილიკიდან 15 მეტრზე, ზ. დ. 1670 მ სიმაღლეზე. ორი გრანდიოზული ძაბრი (25x5 მ; 20x7 მ) 15 მეტრის სიღრმეზე ერთმანეთს უერთდებიან. გვირაბი სამხრ.-დას-ით მიემართება. სამხრ. ჩასასვლელის ფსკერი დაფარულია სქელი ფენის ფირნით. აქ თოვლი თანდათან 10 მ სიგანის დამრეც მყინვარში გადადის. ყინულის სისქე 1 მ-ია. სიღრმე 28 მ, სიგრძე 110 მ-ს აღწევს.

ამტყელის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. აზანთის აუზი, ამტყელის ტბის დას. ნაპირზე, ზ. დ. 580 მ სიმაღლეზე. შესასვლელი იხსნება ფლატეზე. შედგება 21 მ სიგრძის, 13 მ სიგანისა და 10 მ სიმაღლის დიდი დარბაზისაგან.

ამტყელის ჭა – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. აზანთის აუზი, ს. ამტყელის ჩრდ. ნაწილი, ამტყელის ტბის სამხრ.-დას-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 415 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 28 მ-ს აღწევს.

ანუხვის I მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. სიგრძე 38 მ.

ანუხვის II მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. 15 მ სიგრძის ჰორიზონტალური სიღრუე.



ანუხვის III (აბჟთას) მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ს. ზედა ანუხვას მიდამოებში, ახალი ათონიდან მე-12 კმ-ზე, ზ. დ. 445 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 50 მ, სიგრძე 520 მ-ს აღწევს.

ანუხვის IV მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. აღმავალფსკერიანი დახშული სიღრუე 205 მ-მდე გრძელდება.

ანუხვის V მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. აღმავალფსკერიანი, მკვეთრად მეანდრირებული დახშული სიღრუე 110 მ-მდე გრძელდება.

ანუხვის VI მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 460 მ სიმაღლეზე.

ანუხვის VII მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში, ზ. დ. 480 მ სიმაღლეზე. 90 მ სიგრძის ჰორიზონტალური დახშული სიღრუე.

ანუხვის VIII მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში. მღვიმე დაბალი შესასვლელით (0,8 მ) სწორხაზოვნად მიემართება 14 მ მანძილზე.

ანუხვის I ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხის მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხვას მიდამოებში. ჭა იწყება წრიული ფორმის ჩასასვლელით (დიამეტრი 1,5 მ), რომელიც იქვე ფართოვდება და უსწორმასწორო კედლებით 22 მეტრის სიღრმემდე ვრცელდება.



ანუხვის II ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ტერიტორიაზე, ზ. დ. 290 მ სიმაღლეზე. სიღრმე 30 მ.

არაბიკის (კუიბიშევი „ჰენრიხის უძირო") უფსკრულთა სისტემა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ბერჭილის ქედი, ორთაბალაგანის ტროგული ხეობის სამხრ.-აღმ. ნაწილში, გელგელუკის დასახლების ჩრდ-ით 1,5-2 კმ-ზე, ზ. დ. 2055-2188 მ სიმაღლეზე. უფსკრული 1110 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა. მღვიმეს მრავალრიცხოვანი განშტოებები გააჩნია. ერთ-ერთი მათგანია „ჰენრიხის უძირო" (სიღრმე 895 მ) და შესაძლოა „ბერჭილის" (260 მ) უფსკრულიც. „ჰენრიხის უძიროს" ჩასასვლელი ორთაბალაგანის ტროგული ხეობის შუა ნაწილში, ვინრო (0,4-0,5 მ), მკვეთრად დახრილი ნაპრალით იწყება და 10 მ-ის შემდეგ 120 მ სიღრმის ნაპრალოვან შახტში გადადის. უფსკრული დახრილი დერეფნებისა და ჭათა სისტემების მონაცვლეობით 895 მ სიღრმემდე ვრცელდება. „ჰენრიხი" არაბიკის უფსკრულს 965 მეტრიან ნიშნულზე შეუერთდა.

არასაცხენო შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ხიფსთის კირქვული მასივი, მწვ. ხიფსთას აღმ-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 1900 მ სიმაღლეზე. შახტი ზედაპირიდან 155 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იქოლება.

არსენ ოქროჯანაშვილის (ტობას II) მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 5 კმ-ზე, ზ. დ. 790 (234) მ სიმაღლეზე. მღვიმის შესასვლელი

(15x20 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. სამიარუსიან, მრავალგანშტოებიან მღვიმეში რამდენიმე დარბაზია, რომელთა შორის გამოირჩევა: „ნონას დარბაზი“, „სალონი“, „ნანას დარბაზი“, „უნივერსიტეტი-50“,



„ტბიანი“ და სხვა დარბაზები. მღვიმიდან გამომავალი მდინარე შესასვლელთან 200 მ სიმაღლის ჩანჩქერს აჩენს. მღვიმის ჯამური სიგრძე 1300 მ-ს აღემატება.



არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის შესასვლელი

არფხოს შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ჩრდ-ით 1-1,5 კმ-ზე, ზ. დ. 525 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 60 მ-ს აღწევს.

არშძახოს ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ტერიტორიაზე, ზ. დ. 590 მ სიმაღლეზე. 15 მ სიღრმის ჭა.

არნივის ბუდე (Орлиное Гнездо) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის აღმ-თი ნაწილი, ე. წ. სამკუთხედში. შახტის ჯამური სიღრმე 75 მ-ს შეადგენს.

ასაძხინრის უფსკრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის თხემური მოვაკების სამხრ.-დას. ნაწილი, ასაძხინრის უღელტეხილთან, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 85 მ-ია.

აფიანჩის ჭა – გულრიფშის მუნიციპ-ი, აფიანჩა-ჩიჟოუშის ქედის ჩრდ. ფერდობი, აფიანჩის მთის დასით, ს. წებელდის ტერიტორიაზე, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. ჭის ჩასასვლე-



ლი აფეთქებით იქნა გაფართოებული. პირველი ვერტიკალური მონაკვეთი 30 მ-ს აღწევს. 15 მ სიღრმეზე ვიწრო ნაპრალს აჩენს, უფრო ქვემოთ კი სწრაფად ფართოვდება და ვრცელ დარბაზს ქმნის. ჭის ჯამური სიღრმე 70 მ-ს აღწევს.

აფხაზ სპელეოლოგთა – იხ. აქუის შახტი.

აქვაჩის (წმ. ანუფრის) მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. მაანიკვარას აუზის ზემო ნაწილი, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ს. აქვაჩას სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 360 მ სიმაღლეზე. დახრილფსკერიანი ტომრისებური ფორმის სიღრუე 30 მ სიგრძემდე გრძელდება.

აქუის (აფხაზ სპელეოლოგთა) შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის მიდამოები, ახალი ათონის მღვიმის მახლობლად, ზ. დ. 160 მ სიმაღლეზე. ვერტიკალური მონაკვეთი ზედაპირიდან მე-60 მეტრზე სწრაფად ებმის გუმბათისებური ფორმის 270 მ სიგრძის გიგანტურ დარბაზს. ჯამური სიღრმე 85 მ-ია.



აქუის (აფხაზ სპელეოლოგთა) შახტის ერთი უბანი

აღმავალი (ახალი ათონის „ძველი" სტალაქტიტური, ფსირცხის) მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ.-აღმ. ფერდობზე, მდ. ფსირცხას აუზი, ფსირცხის ვოკლუზების თავზე, ზ. დ. 40 (25) მ სიმაღლეზე. მღვიმე იწყება 6 მ სიგანისა და 4 მ სიმაღლის შესასვლელით, რომელიც სწრაფად გადადის დახრილ-ფსკერიან გვირაბში. ძირითად მაგისტრალს გამოეყოფა დახრილ-ფსკერიანი განშტოებები. შუა ნაწილში ორი დიდი დარბაზია (30x20 მ). მღვიმე ბოლოში სიფონური ტბით იხშობა, რომელიც დაკავშირებულია ახალი ათონის კეთილმოწყობილ მღვიმეში მდებარე ტბებთან. წყლის დონეების მატების პერიოდში წყალი ავსებს გვირაბს და შესასვლელიდან გადმოდის მოზრდილი ნაკადი. მღვიმის ჯამური სიგრძე 165 მ-ს შეადგენს.

აღმაფრენის შახტი (Вдохновение) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის ჩრდ. ნაწილი, კარული ველის მიდამოებში, ზ. დ. 2330 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 96 მ-ს შეადგენს.

აჩხიტიზგოას მღვიმე – იხ. აბრსკილის მღვიმე.

აძაბის გვირაბი – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე, აძაბის მღვიმის სამხრ-ით 20 მეტრში, ზ.დ. 250 მ სიმაღლეზე. 45 მ სიგრძის გვირაბი.

აძაბის (ეშერის) მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე ზ. დ. 245 მ სიმაღლეზე. მღვიმე სიღრმეში თანდათან ვიწროვდება და გვირაბის ფორმას იღებს. ძირითადი მაგისტრალი ივითარებს განშტოებებს ვიწრო ნაპრალების სახით. მღვიმე ბოლოში (354 მ-ზე) სიფონით მთავრდება.

აძაბის ფარდული – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე, აძაბის მღვიმის სამხრ-ით 0,15-0,2 კმ-ზე, ზ. დ. 280 მ სიმაღლეზე. 45 მ სიგრძის ფარდული.

ახალი ათონის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის ტერიტორიაზე, მ. ივერიის ჩრდ-ით, მდ. მაანიკვარასა და ფსირცხას წყალგამყოფზე, მდ. ფსირცხას აუზი. ზ. დ. 220 (60) მ სიმაღლეზე. ღრმა შახტებისა და ვრცელი დარ-

ახალი ათონის მღვიმე. დარბ. „თბილისის“ ვესტიბიული

ბაზების სისტემა. შედგება ორი მორფოლოგიურად მკვეთრად განსხვავებული (ვერტიკალური და ჰორიზონტული) ნაწილებისაგან. პირველი მათგანი სპირალური ფორმის ვერტიკალური საფეხურებისა და ძლიერ დახრილი ვიწრო ნაპრალების მორიგეობით 165 მეტრამდე ვრცელდება, სადაც უფსკრული ვიწრო ხვრელის („არსენას ჭიშკარი“) საშუალებით მღვიმის ჰორიზონტალურ სისტემას უკავშირდება, რომელშიც გამოიყოფა მაღალჭერიანი გიგანტური დარბაზები: „აფხაზეთი“, „ქართველ სპელეოლოგთა“, „თიხის“, „ტაძარი“, „ივერია“, „თბილისი“, „ჰელიქტიტების სალონი“, „სიურპრიზი“ და სხვ., რომელთა სიგანე 20-70 მ ფარგლებში მერყეობს, ხოლო ჭერის სიმაღლე 15 მ-დან 70 მეტრს აღწევს. "ქართველ სპელეოლოგთა დარბაზი" (სიგრძე 260 მ, სიგანე 65-70 მ, სიმაღლე 30-35 მ) უდიდესია არამარტო კავკასიის, არამედ ევროპის დღემდე გამოკვლეული მღვიმეების დარბაზებს შორისაც. მღვიმის

ვერტიკალური ნაწილის სიღრმე 183 მ, ჰორიზონტული მონაკვეთის ძირითადი მაგისტრალის სიგრძე 1125 მ-ია. ერთ-ერთ უპოპულარესი სპელეოტურისტული ძეგლი ევროპაში, რომელიც ქართველი სპელეოლოგების (ზურაბ ტატაშიძე, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა, გივი სმირი) მიერ იქნა აღმოჩენილი 1961 წელს. ექსპლუატაციაშია 1975 წლიდან. მღვიმის აღმოჩენასა და შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ქართველი მკვლევარები – ზურაბ ტატაშიძე, შალვა ყიფიანი, არსენ ოქროჯანაშვილი 1977 წლის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდნენ.

ახალი ათონის მღვიმის სქემატური გეგმა



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲨᲕᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ.-დას. ფერდობი, მდ. ფსირცხის აუზი, ახალი ათონის წყალგამშვები გვირაბის თავზე, ზ. დ. 50 (10) მ სიმაღლეზე. მღვიმე გამოჩნდა ახალი ათონის მღვიმეში წყალგამშვები გვირაბის მშენებლობის დროს. მღვიმე აღმავალია, სიგრძით 285 მ-ს აღწევს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ – იხ. მაანიკვარას შახტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲗᲝᲜᲘᲡ „ᲫᲕᲔᲚᲘ", ᲡᲢᲐᲚᲐᲥᲢᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – იხ. აღმავალი მღვიმე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის ქედის სამხრ. ფერდობი, ს. ოტაპის ჩრდ-ით 0,15 კმ-ზე, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. უფსკრული მცირე სიღრმის ჭათა სისტემების მონაცვლეობით 120 მ სიღრმემდე ვრცელდება.

ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ (ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲙᲘᲡ) ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ს. ახალშენის დასით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 285 (100) მ სიმაღლეზე. მღვიმის წინა ნაწილი წარმოადგენს თაღისებურ გვირაბს, რომელიც სწორხაზოვნად მიემართება აღმ-კენ. მღვიმე ბოლოში, 220-ე მ-ზე ნაზვავით იხშობა.

ახალშენის მღვიმის ნაღვენთი კოლონა

ᲐᲮᲓᲣᲡ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ზ. დ. 890 მ სიმაღლეზე. სიღრუე ზედაპირიდან 35-40 მ სიღრმეზე ივითარებს დახრილფსკერიან დარბაზს, რომელიც სწრაფად გადადის 80 მ სიღრმის ვერტიკალურ შახტში.

ᲐᲮᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის მასივი, ყინულოვანი მღვიმის აღმ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 2520 მ სიმაღლეზე. უფსკრული 35, 15, 45 და 40 მ-იანი ჭებისა და შახტების მორიგეობით 410 მ სიღრმემდე ვრცელდება, ჯამური სიგრძე 800 მ-ს აღწევს.

ᲐᲯᲐᲛᲡᲣᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ს. ვესიოლოვკის ტერიტორიაზე, კურ. ახალი ათონის ჩრდ-ით 5-6 კმ-ზე, ზ. დ. 520 მ სიმაღლეზე. მღვიმე შესასვლელიდან 35-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.

ᲐᲯᲐᲛᲩᲘᲦᲠᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ მუნიციპ-ი, დურიფშის პლატო, ს. ლიხნის ტერიტორიაზე, მდ. ხიფსთის აუზი, ხეობის მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 40 (12) მ სიმაღლეზე. შესასვლელიდან 120-ე მ-ზე ძირითად დერეფანს უკავშირდება 40 მ სიგრძის განშტოება, რომლის მიღმა ძირითადი გვირაბი დას-კენ მიემართება და 270 მ-ზე ნაზვავით იხშობა.

АБ5 (Абхазская экспедиция, секция спелеологии МГУ) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონას ჩრდ-ით, ეოეკვარას ტროგულ ხეობაში, ზ. დ. 2126 მ სიმაღლეზე. შახტი 120 მ სიღრმემდე ვრცელდება.

АБЭ-18 (Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, ს. ზემო შუბარას ტერიტორიაზე, მდ. შუბარას ხეობის მარცხ. ფერდობზე, მდ. დას. გუმისთასთან შეერთების ადგილიდან 5 კმ-ზე, ზ. დ. 1280 მ სიმაღლეზე. ვერტიკალურ მონაკვეთს (სიღრმე 12 მ) სწრაფად ებმის დახრილი გალერეა, რომელიც მე-10 მეტრზე ნაზვავი ლოდნარით იქოლება.

АБЭ-21-71 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. შუბარას (ხოიჯგეთი) მარცხ. შენაკადის შუა წელში, უსახელო მწვერვალის (1106,3 მ) სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1280 მ სიმაღლეზე. საწყისი მონაკვეთი 10 მ სიღრმის ჭას წარმოადგენს, რომელსაც სწრაფად ებმის დახრილფსკერიანი მოზრდილი დარბაზი (25x10x10 მ). ჯამური სიგრძე 70 მ-ს შეადგენს.

АБЭ-11-71 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) –სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. შუბარას (ხოიჯგეთი) მარცხ. შენაკადის შუა წელში, ზ. დ. 480 მ სიმაღლეზე. შახტის საწყისი 25 მ-იანი მონაკვეთი 20 მეტრის შემდეგ თაღოვანი მომცრო დარბაზით მთავრდება.

АБЭ-22 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ს. ახალშენისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ახალშენის მღვიმიდან 0,3 კმ-ზე, ზ. დ. 310 (30) მ სიმაღლეზე. 22 მ სიღრმის შახტი.

АБЭ-23 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) –სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმის-

თის აუზი, მწვ. აუამგვას ქედის სამხრ. ფერდობზე, წყალშემკრები აუზიდან დას-ით 7 კმ-ზე, მწვ. აბანაგდარას სამხრ.-აღმ-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. 23 მ სიღრმის შახტი.

АБЭ-29 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. ზემო ეშერის მღვიმე-რესტორნიდან 0,2-0,25 კმ-ზე, ზ. დ. 520 მ სიმაღლეზე. შახტი წარმოიშვა 1926 წლის სექტემბერში მოსული ძლიერი თავსხმა ნვიმების პერიოდში ნიადაგის ჩაქცევის შედეგად. შახტის სიღრმე 30 მ-ია.

АБЭ-19 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ზემო ეშერის ცნობილი მღვიმე-რესტორნიდან 0,3 კმ-ზე, მშრალი ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 300 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 19 მ-ს შეადგენს.

АБЭ-28 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზიდან 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 295 მ სიმაღლეზე. სიღრმე 28 მ-ს აღწევს.

АБЭ-25 – Абхазская (секция спелеологии МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ეშერის წყალსაქაჩიდან დას-ით 0,4 კმ-ზე, საავტომობილო გზის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 470 მ სიმაღლეზე. სიღრმე 25 მ-ს აღწევს.

АБЭ-17 – Абхазская экспедиция (секция МГУ) – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთასა და მდ. შუბარას შორის მოქცეული მთის მწვერვალზე, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. სიღრმე 17 მ-ს შეადგენს.

ბ

ბაგიანის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობის დას. ნაწილი, ს. ბაგიას მწყემსების სადგომიდან ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 1750 მ სიმაღლეზე. შახტი ღრმა ჭებისა და ლაბირინთული გასასვლელების მონაცვლეობით 270 მ სიღრმემდე ვრცელდება, გაჭიმულობა 370 მ-ს აღწევს.

ბანანის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2190 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 75 მ, ჯამური სიგრძე 125 მ შეადგენს.

ბარათაშვილების შახტი – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ზოდის მიდამოებში, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ჩაქცევითი ძაბრის ფსკერზე, ზ. დ. 370 მ სიმაღლეზე. 70 მ სიღრმის შახტი ამჟამად ხელოვნურად არის ამოვსებული ალუვიური მასალით.

ბარდულის ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. აფხაზურას აუზი, ადგ. რაჩხა, ს. ლეცავეს ტერიტორიაზე, ზ. დ. 480

(100) მ სიმაღლეზე. 30 მ სიღრმის სიღრუე.

ბარციცის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 1790 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 100 მ, გაჭიმულობა 400 მ-ს აღწევს.

ბაღნარის მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. სანდრიფშის (ჟეოფსეს) აუზი, მდინარის მარცხ. ფერდობზე, ს. ბაღნარის სამხრ.-აღმ-ით 2,5 კმ-ზე, ზ. დ. 750 (60-70) მ სიმაღლეზე. შედგება მომცრო, წრიული ფორმის დარბაზებისა და ვიწრო გასასვლელებისაგან. მღვიმე ბოლოში ქიმიური ნალექებით მდიდარი, საკმაოდ მოზრდილი დარბაზით (5x25x15 მ) მთავრდება.

ბაჩას ზედა მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბაჩას ტერიტორიაზე, ზ. დ. 125 მ სიმაღლეზე. მღვიმე პატარა ტბებისა და მომცრო დარბაზების მონაცვლეობით 65 მ-დე გრძელდება.

ბაჩას ქვედა მღვიმე –გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბაჩიდან აღმ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 120 მ სიმაღლეზე. ძაბრისებური ქვაბულის ფსკერზე გახსნილი ვიწრო მიწისქვეშა ხეობა 45 მ-დე გრძელდება.

ბელვედერის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, მწვ. არაბიკის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. პირველი მონაკვეთი 25 მ სიღრმემდე ვრცელდება. აქედან ვიწრო (1,5x1,5) ჭების მონაცვლეობით შახტი 56 მ სიღრმემდე ეშვება და გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ბელორუსიის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, ზ. დ. 375 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი 7 მ დიამეტრის ჩანაქცევს წარმოადგენს, რომელიც 80 მ სიღრმის შახტში გადადის; იგი მოკლე და დახრილი საფეხურების მონაცვლეობით 10 და 50 მ სიღრმის კასკადების სისტემას აწყდება. შახტი ბოლოში (210 მ-ზე) ნაზვავითა და ვიწრო, გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ბეჟიასტბის (ცუცხვათის XI) მღვიმე – ტყიბულის მუნიციპ-ი, ს. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურას აუზი (ყვირილას სისტემა), ზ. დ. 335 (75) მ სიმაღლეზე, სუბჰორიზონტალური, აღმავალი, ორსართულიანი (სავარაუდოდ ცუცხვათის XII–XIII). სართულები ჩადგმულია ერთიმეორეში. სიგრძე 25 მ-ია.

ბერჭილის უფსკრული – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ბერჭილის ქედის ჩრდ. ციცაბო ფერდობზე, ორთაბალაგანის ტროგული ხეობის ზედა ნაწილში, ზ. დ. 2440 მ სიმაღლეზე. 1989 წელს კიშინოველმა სპელეოლოგებმა მასში 420 მ სიღრმემდე ჩააღწიეს.

ბესლეთის (ბესლეხის) მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. ბესლეთის აუზი, ს. ურავის სამხრ-ით, ზ. დ. 80 მ სიმაღლეზე. მღვიმე 15 მ-ის შემდეგ სიფონით მთავრდება.

ბესლეთის ჭა – სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. ბესლეთის აუზი, ს. ურავის სამხრ-ით, ზ. დ. 160 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 35 მ-ია.

ბელელის მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ადგ. „დიდველის" ტერიტორიაზე, შვეულ ფლატეზე, მდ. კვერეშულას (მდ. ცხენისწყლის შენაკადი) სათავეში, მდინარის დონიდან 50 მ სიმაღლეზე. მღვიმის სავარაუდო სიგრძე 70 მ-ია.

კიდობანას მღვიმე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, საწალიკის მთის ჩრდ. ფერდობზე, მდ.გორწყალის ჭალის მარცხნივ, ს. თლუღიბეთლევის სასოფლო გზიდან 100 მეტრში, ტყიან ფერდობზე, ზ. დ. 1180 მ სიმაღლეზე. სუბჰორიზონტალური წყლიანი მღვიმე სიფონური მონაკვეთებით. პირველი სიფონური ტბის სიგრძე 120 მ-ს აღწევს. მღვიმე შესასვლელიდან 600 მ-ზე ასევე სიფონური ტბით არის გადაკეტილი.



პირველი სიფონური ტბა კიდობანას მღვიმეში (ლაშა ასანიძის ფოტო)

კლდისწყლის (ბეგბიას) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ზოდის ტერიტორიაზე, ხვედელიძეების უბანში, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. სიგრძე 60 მ-ს შეადგენს.

კლდისწყალის მღვიმე – ონის მუნიციპ-ი, ხიხათას ქედის სამხრ.-დას-ით, ხიხათას თოვლიანი ჭიდან აღმ-ით 0,3 კმ-ზე, ბილიკის მახლობლად. გვირაბის სიგრძე 20 მ-ს აღწევს.

კლდისწყლის (ნეკრისის) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ზოდი, „ნადირაძეების უბნის" მიდამოებში, მდ. წყალწითელას აუზი, ზ. დ. 620 (18) მ სიმაღლეზე. ორსართულიანი გვირაბი, ქვედა ჰორიზონტზე გამავალი მიწისქვეშა ნაკადით. მღვიმის სიგრძე 160 მ-ს აღწევს.

კლდისწყაროს ზედა (ოლგის ზედა) მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. ფსეცას ხეობაში, ახალი გაგრიდან 5 კმ-ის დაშორებით, კურ. გაგრის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 142 მ სიმაღლეზე. სიგრძე 70 მ.

კლდისწყაროს ქვედა (ოლგის ქვედა) მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. კლდისწყაროს აუზი, ს. ოლგინსკოეს ჩრდ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 124 მ სიმაღლეზე. სიგრძე 85 მ.

კოდორის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კოდორის აუზი, მდინარის მარჯვ. მხარეს, მდინარის დონიდან 30 მ სიმაღლეზე, ს. განახლების ჩრდ-ით 7-8 კმ-ზე. მღვიმე შეუსწავლელია.

კოზმანის მღვიმე – ხარაგაულის მუნიციპ-ი, ს. ამაშუკეთის მახლობლად, ძირულის ხეობის მარცხ. ფერდობზე. სიგრძე 200 მეტრს აღწევს.

კოკის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონას ჩრდ-ით, კოკის ჭის მახლობლად, ზ. დ. 2300 მ სიმაღლეზე. შახტი 80 მ სიღრმემდე ვრცელდება.

კოკის ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონას ჩრდ-ით, წყაროდან 0,8 კმ-ზე, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 20 მ-ს აღწევს.

კოკოზოურის მღვიმე – იხ. ვარხმელას მღვიმე.

კოლიას ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, წეკელ-

დის ქედის სამხრ.-დას. ფერდობი, მდ. ნაჩხურის შენაკად მშრალღელეს მარჯვ. ფერდობზე, ს. ლესხულუხეს ჩრდ-ით 8 კმ-ზე, ზ. დ. 710 (220) მ სიმაღლეზე. სიღრმე 25 მ-ს შეადგენს.

კოლკინის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ს. აპუხოვოდან ზაშირბარას ქედისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მკვეთრი მოსახვევიდან 300 მეტრში, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. შახტი 32-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.

კოჟეგის მღვიმე – იხ. ორმოების მღვიმე.

კორპსაძრობი (Штопорная) – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2028 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 57 მ, სიგრძე 90 მ შეადგენს.

კორცხელის მღვიმე – ზუგდიდის მუნიციპ-ი, ს. კორცხელი, მდ. ჯუმის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 200 (20) მ სიმაღლეზე. ერთ-ერთი უგრძესი (790 მ) კლასტოკარსტული მღვიმე კავკასიაში. შედგება ძირითადი გვირაბისა და ერთადერთი განშტოებისაგან. ბოლო ნაწილში ჭერი იმდენად დაბლდება, რომ გადაადგილება მხოლოდ ფორთხვით არის შესაძლებელი.

კოტიასკლდის (სვერის ქვაბკარის) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სვერიდან 1,5-2 კმ მანძილზე, მდ. საძალეხევის აუზი, ზ. დ. 690 (60) მ სიმაღლეზე. მღვიმეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა პალეოლითელი ადამიანის სამარხი. დაფიქსირდა მეზოლითური და გვიან პალეოლითური კულტურული ნაფენები. მღვიმეში ნაპოვნია ქვისა და ძვლის სხვადასხვა ტიპის იარაღი. ძირითადი გვირაბი 135-ე მ-ზე 10 მ სიღრმის ჭას აწყდება. ჭის მიღმა, დაბალი (20-25 სმ) და კალციტის ფორმებით მდიდარი ვიწრო გასასვლელის მიღმა, მღვიმე 280 მ-დე გრძელდება.

კოტიასკლდის მღვიმეში მოპოვებული არქეომასალების ამსახველი სტენდი

კოტოშწყარის I ჭა – იხ. ქოთანწყლის I ჭა.

კოტოშწყარის II ჭა – იხ. ქოთანწყლის II ჭა.

კოხტა ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას დას-ით, მდ. ბზიფის აუზი, ზ. დ. 2380 მ სიმაღლეზე. ჭა 50 მ სიღრმეში ნაზვავით იხშობა.

კრონშტადტის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, აკულრას პლატოს აღმ. დაბოლოებაზე, მწვ. აკულრას სამხრ.-აღმ-ით 2,4 კმ-ზე, უსახელო მწვერვალის (2515 მ) ჩრდ-ით 0,3 კმ-ზე. ჯამური სიგრძე 460 მ.

კრუბერის უფსკრული – (მსოფლიოს №1 უღრმესი კარსტული სიღრუე) – გაგრის მუნიციპ-ი, ორთაბალაგანის ხეობის ზემო ნაწილის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 2 250 მ სი-

მაღლეზე. ვინრო დერეფნებისა და მომცრო დარბაზების მონაცვლეობით უფსკრული საფეხურებრივად 150 მ სიღრმემდე ეშვება. სწორედ უფსკრულის ამ ნაწილის აღმოჩენისა და შესწავლის პატივი, ჯერ კიდევ 1960 წელს, წილად ხვდა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის საექსპედიციო რაზმს პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით.

დაშვება კრუბერის უფსკრულში

ახალი საუკუნის დასაწყისში, უკრაინის სპელეოასოციაციის საექსპედიციო რაზმმა ჩასასვლელიდან 1710 მ-დე ჩააღწია, რითაც არაბიკის მღვიმური სისტემა და კერძოდ, ქართველი მკვლევარების მიერ მიკვლეული და ნაწილობრივ შესწავლილი კრუბერის უფსკრული, მსოფლიოს უღრმეს კარსტულ უფსკრულებს სათავეში მოექცა. მოგვიანებით იმავე რაზმმა მღვიმეში 1790 მ სიღრმეზე ახალ განშტოებას მიაკვლია, რომელიც ნარმოდგენილია 1070 მ სიგრძისა და 290 მ სიღრმის სხვადასხვა მორფოლოგიის მქონე ვინრო გასასვლელებისა და 40 მ-დე სიღრმის ჭათა სერიებისაგან. უფსკრულის ახლად აღმოჩენილი ნაწილი 2080 მ სიღრმეზე დამთავრდა ქვიშიანი სიფონით. გამოკვლეული ნაწილის ბოლო წერტილი 2197 მეტრია და სიღრმული ჩაღწევის მსოფლიო რეკორდი საქართველოშია.

კუდაროს I მღვიმე _ ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1 428 (98) მ სიმაღლეზე. მღვიმე ვოკლუზურ სტადიაში იმყოფება.



კუდაროს II მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1 472 (142) მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 10 მ-ს აღწევს.

კუდაროს III მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1 486 (156) მ სიმაღლეზე. ქვედა პალეოლითის ეპოქის ძეგლი. კულტურული ნა-

ფენები (სისქე 35-40 სმ) შეიცავს ოსტეოლოგიურ მასალას, ნარშირისა და კერამიკის ნაშთებს. ორსართულიანი მღვიმის ჯამური სიგრძე 40 მ-ს აღწევს.

კუდაროს IV მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1564 (234) მ სიმაღლეზე. ქვედა პალეოლოთის ეპოქის (ა-შელ-მუსტიე) ძეგლი. მოპოვებულია ენეოლითის, მუსტიერული და სხვა ეპოქის ნაშთები. სიგრძე 140 მ-ს აღწევს.

კუდაროს V მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1 580 (250) მ სიმაღლეზე. სიგრძე 50 მ-ს შეადგენს.



კუდაროს VI მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. რიონის მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1 586 (256) მ სიმაღლეზე. მღვიმეში მოპოვებულია მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა: ნაპოვნია მგლის (Canis. Cf.lupusl.), მელას (Vulpes cf. vulpesl), მღვიმური დათვის (Ursus aff. Spelaeus Rosm), გარეული ღორის (Suscf.scrofa L.), კეთილშობილი ირემის (Cervus cf. chophus L.), მაჩვის (Mels cf. meles F.), ორაგულის ნაშთები. მღვიმის სიგრძე 64 მ-ს აღწევს.

კუდაროს შახტი – ჯავის მუნიციპ-ი, ს. კვაისა, მდ. ყვირილას მარცხ. შენაკადის მდ. ჯეჯორას ხეობაში, ჩასავალხოხის მთის სამხრ. ფერდობზე, კუდაროს მრავალსართულიანი მღვიმეების სამხრ.-დას-ით 0,5-1 კმ-ზე, ზ. დ. 1800 (60-70) მ სიმაღლეზე. 20 მ სიღრმის შახტი, ჯამური სიგრძე 42 მ-ს აღწევს.

მინისქვეშა ტბა კუდურებისკლდის მღვიმეში

კუიბიშევის უფსკრული – იხ. არაბიკის უფსკრულთა სისტემა.

კუდურებისკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სვერი, მდ. რეკევისის აუზი, ზ. დ. 640 (5) მ სიმაღლეზე. ორსართულიანი მღვიმური სისტემა. ზედა სართული გამჭოლია და 40 მ-მდე ვრცელდება. ქვედა – წყლითაა ავსებული, საიდანაც მდ. რეკევისა იღებს სათავეს. მღვიმის სიგრძე 280 მ-ია.

კურდღლის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ლურჯი შახტის ჩრდ-ით 0,2 კმ-ზე,

ზ.დ. 1750 მ სიმაღლეზე. შახტი 60 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა.

კურზუს მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, მიგარიას მასივი, ს. კურზუ, ლებარდესაკენ მიმავალი გზის მარცხნივ, მდ. ტეხურას მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. სიგრძე 168 მ.

კურკურის – იხ. ტვანაარხუს მღვიმე.

კუს შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. შახტი 220 მ სიღრმეზე 25 მეტრიანი ჭით მთავრდებოდა. მოგვიანებით მინსკელმა სპელეოლოგებმა შახტში 650 მ სიღრმემდე ჩაალწიეს. ჯამურმა სიგრძემ 3000 მ-ს გადააჭარბა.

К-6 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, ზ. დ. 650 მ სიმაღლეზე. ნაპრალი 6 მ სიღრმემდე ეშვება. ფსკერზე 10 მ სიგრძის ჰორიზონტალურ დერეფანს ბოლოში თითქმის ზედაპირამდე აღმავალი ჭა აგრძელებს.

К-9 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მოკი-ვოხუს ქედის მიდამოებში, ზ. დ. 650 მ სიმაღლეზე. 9 მ სიღრმის ვერტიკალური ნაპრალი.

К-15 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, ზ. დ. 650 მ სიმაღლეზე. ვიწრო შვეულკედლებიანი ჭა შუა მონაკვეთში ოდნავ ფართოვდება და ბოლოში ნაზვავით იხშობა.

К-17 (им. П.С. Трофимова) _ გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ხირკას, ზონტისა და "უტიუგის" მწვერვალებს შორის, ე. წ. „სამკუთხედში". აგეგმილი მონაკვეთების ჯამური სიღრმე 300 მ-ს შეადგენს.

К-22/1 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას ჩრდ. 0,6 კმ, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. სიღრმე 22 მ.

К-22/2 (Красноярск)– გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას ჩრდ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. სიღრმე 22 მ.

К-23 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას ჩრდ-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. სიღრმე 23 მ.

К-24 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ-ით, მწვ. მამზიშხას ჩრდ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 1840 მ სიმაღლეზე. სიღრმე 24 მ.

К-28/1 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, ზ. დ. 650 მ სიმაღლეზე. 25 მ სიღრმეზე დამრეცფსკერიანი დერეფანი ნაზვავით იქოლება.

К-28/2 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი. შახტის სიღრმე 25 მ-ს აღწევს.

К-33 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას ჩრდ.-აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. სიღრმე 33 მ.

К-34 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონას დას-ით, მდ. ჟოეკვარას აუზი, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. სიღრმე 32 მ.

К-40 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონას მიდამოებში, მდ. ჟოეკვარას აუზში, საზაფხულო ფერმების აღმ-ით. 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. სიღრმე 40 მ-ია.

КР-04 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, მწვ. არაბიკის ჩრდ.-დას-ით

3,5 კმ. ჩასასვლელი კარსტული ძაბრის ფსკერზე იხსნება და იქვე ორად იტოტება. ჩრდ.-აღმ. განშტოება 12 მ-დე გრძელდება, სამხრ.-დას.– მკვეთრად დახრილი ვიწრო და დაბალი (2x1,5 მ) გვირაბით 80 მ სიგრძეზე ვრცელდება და ნაზვავით იხშობა.

КР-06-11 (Красноярск) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის აღმ-თი ნაწილი, ე. წ. „სამკუთხედში", ადგ. ჭამხონას ჩრდ-ით, ზ.დ. 2174 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 40 მ-ს შეადგენს.

КЭС-51 (Крымская экспедиция спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ზ. დ. 1925 მ სიმაღლეზე. შახტი (დიამეტრი 3 მ), სიღრმეში თანდათან ფართოვდება და 35 მ-ზე მოკლე საფეხურის მონაცვლეობით 50 მ-ზე მთავრდება.

КЭС-68 (Крымская экспедиция спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, „სატყეოს ჭის" სამხრ-ით 0,07 კმ-ზე, ზ. დ. 1925 მ სიმაღლეზე. შახტი 55 მ სიღრმეზე ნაზვავით იქოლება.

КРЭ-16/82 (Красноярская экспедиция) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის მასივის ჩრდ. ფერდობი, უსახელო მწვერვალის (2104 მ) სამხრ.-დას-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 155 მ, გაჭიმულობა 300 მ-ს შეადგენს.

КРЭ-84/100 (Красноярская экспедиция) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის ჩრდ-აღმ. ნაწილში. ვიწრო გვირაბი 100 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ლ

ლახარძიხის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, ს. ხოფის აღმ-ით. 2,5 კმ-ზე, მდ. მდ. იღრთასა და ჭამიას შეერთების ადგილიდან აღმ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 375 მ სიმაღლეზე. ვიწრო დერეფანი 45 მ სიგრძემდე ვრცელდება და ბოლოში გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ლესხულუხეს (ნაჩხურის) მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ს. სალხინოს მიდამოებში, მდ. ნაჩხურის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 270 (20) მ სიმაღლეზე. ჰორიზონტალური მღვიმე იხსნება ფართო შესასვლელით (15x15 მ). ძირითად გვირაბს ბოლოში გამოეყოფა 25 მ სიგრძის დაღმავალი განშტოება. ჯამური სიგრძე 45 მ-ს აღწევს.



ლეფიფიეს შახტი – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, გაუჩას კირქვული მასივის სამხრ. კალთაზე, მდ. მაფელის აუზი, ზ. დ. 500 მ სიმაღლეზე. შახტი იწყება 25 მ სიღრმის ჭით, რასაც ქვედა ნაწილში აგრძელებს თითქმის ჰორიზონტალური ფსკე-

რის მქონე დაბალჭერიანი გვირაბი. სიგრძე 85 მ.

ლენურნუმეს მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. ლენურნუმეს მიდამოებში, მდ. ხობისწყლის მარჯვ. შენაკადის სკურჩას მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 235 (15) მ სიმაღლეზე. აღმავალი, დახშული მღვიმე იწყება ვრცელი შესასვლელი დარბაზით (15x8x4 მ), რასაც აგრძელებს 2-3 მ სიგანის გვირაბი. სილრმისაკენ სიგანე 0,3 მ-დე მცირდება და 115 მ-ზე გაუვალი ხდება.

ლურჯი შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, თოვლიან-მეუენის უფსკრულის ჩასასვლელიდან აღმ-ით 0,2 კმ-ზე, ზ.დ. 1750 მ სიმაღლეზე. შახტი 50 მ სიღრმეზე თოვლ-ყინულიანი კონუსით მთავრდება.

ЛКТ (Ленинградская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. კვანშას მიდამოებში. უფსკრულის ჯამური სიღრმე 270 მ-ს შეადგენს.

ЛСС-215 (Ленинградская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. აკუღრას ჩრდ-ით 0,2 კმ-ზე. შახტის ზედა მონაკვეთი ვიწრო ჭის სახით 30-ე მეტრზე 8-10 მ-დე ფართოვდება და 60 მ სიღრმეზე დარბაზულ გაფართოებაში (10x5x10 მ) გადადის.

ЛСС (Ленинградская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ს. ქვედა მწარას სამხრ-ით 1,2 კმ-ზე, მდ. ცკვარას მარცხ. მხარეს, ზ. დ. 100 მ სიმაღლეზე. ვიწრო ჭა 30 მ სიღრმეზე ნაზვავით იქოლება.

მ

მაანიკვარას (ახალი ათონის მცირე) შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ-ით, მდ. ფსირცხას აუზი, ფსირცხის ვოკლუზებიდან 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 80 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 65 მ-ს აღწევს, ჯამური სიგრძე 217 მ-ია.



მაზანდარის მღვიმე – ნალენჯიხის ჩრდ-ით 4 კმ-ზე, ს. მაზანდარა, მდ. ჭანისწყლის ხეობის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 260 (70) მ სიმაღლეზე. ვიწრო (1 მ) და დაბალი (1,5 მ) გვირაბის სიგრძე 20 მ-ს აღწევს.

მათხოჯის მღვიმე – ხონის მუნიციპ-ი, ს. მათხოჯიდან ს. ხიდისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, მდ. ცხენისწყლის აუზი, მდინარის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 320 (150) მ სიმაღლეზე. სიგრძე 55 მ-ს შეადგენს.

მაიდნის უფსკრული – მარტვილისა და ხონის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ასხის კირქვული მასივი, მაიდნის პლატოზე, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. უფსკრული იწყება ორი ჩასასვლელით (7x5 და 9x7 მ), რომ-

ლებიც სიღრმეში უკავშირდებიან ერთმანეთს. უფსკრული 45 მ-დე შვეულად მიემართება სიღრმეში, შემდეგ დახრილ გვირაბში გადადის და 75-ე მ-ზე ნაზვავით იქოლება.

მაკენას შახტი – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის ცენტრალური ნაწილის დას. ფრთაზე, ზ. დ. 1080 მ სიმაღლეზე. X: 273.790; ი: 4724.201. შახტი 35 მ სიღრმეზე ორათ იტოტება და მისი აღმ-თი განშტოება 60 მ სიღრმემდე ეშვება.

„მალიშკას მღვიმე "– გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ.-დას-ით 1 კმ-ზე, მდ. ფსირცხას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 200 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 31 მ-ია.

მამუკას შახტი – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის ცენტრალურ ნაწილში, ვანო გულედანის მღვიმის აღმ-ით 100 მ-ში, ბილიკის მახლობლად, ზ. დ. 1060 მ სიმაღლეზე. X:42.38.604; ი: 47.15.201. შახტის სიღრმე 37 მ-ს აღწევს.

მარანის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, ს. მარანის ტერიტორიაზე, ზ. დ. 370 მ სიმაღლეზე. 50 მ სიგრძის გვირაბის ფორმის სიღრუე.

მარტელის უფსკრული – გაგრის მუნიციპ-ი, ბერჭილის ქედი, მდ. სანდრიფშის აუზი, ს. გელგელუკის ჩრდ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2350 (520) მ სიმაღლეზე. უფსკრულის საწყისი, 80 მ სიღრმის გრანდიოზული ცილინდრული ფორმის შახტის ფსკერი 30 მ სიმაღლის მრავალწლიანი თოვლის ობელისკითაა წარმოდგენილი, მისი ქვედა ნაწილი (600მ^3) კი მინისქვეშა მყინვარს უკავია.



მასკოტიკომის ეხი – ჯავის მუნიციპ-ი, ს. მასკოტიკომის მიდამოები, კუდაროს მღვიმეების აღმ-ით 1,5-2 კმ-ზე, ზ. დ. 1580 (220) მ სიმაღლეზე. კარების ევოლუციის შედეგად გაჩენილი აღმავალი, 15 მ სიგრძის დახშული სიღრუე.

მასკოტიკომის ზედა მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. მასკოტიკომის მიდამოები, კუდაროს მღვიმეების აღმ-ით 1,5-2 კმ-ზე, ზ. დ. 1735 მ სიმაღლეზე. სამსართულიანი, ლაბირინთული ტიპის სიღრუე, დას. (სიგრძე 260 მ) და აღმ. (110 მ) განშტოებებით. მღვიმის ჯამური სიგრძე 410 მ-ს აღწევს.

ექსცენტრული ფორმის ნაღვენთები მასკოტიკომის ზედა მღვიმეში

მასკოტიკომის ქვედა მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. მასკოტიკომის

მიდამოები, კუდაროს მღვიმეების აღმ-ით 1,5-2 კმ-ზე, ზ. დ. 1656 (296) მ სიმაღლეზე. დაღმავალი, დახშული მღვიმე ფსკერის ვარდნა მთავარი მაგისტრალის 170 მ სიგრძეზე 3-4 მ-ია. ჯამური სიგრძე 275 მ-ს აღწევს.

მაფელის მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. მუხურის ტერიტორიაზე, მაფელის ბორცვის ჩრდ.-აღმ. ფერდობზე, ლევან ფიფიას საკარმიდამო ნაკვეთში, ზ. დ. 410 მ სიმაღლეზე. ვიწრო (1-1,5 მ) და დაბალი (0,5-0,8 მ) გვირაბის ფორმის სიღრუე 10 მ-დე გრძელდება.

მაფელის მღვიმის ვიწრო შესასვლელი

მაჩხაპეს მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. ნაკიანის ჩრდ.-აღმ-ით 3,5 კმ-ზე, მდ. მაჩხაპეს (მდ. ზანას მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 250 (20) მ სიმაღლეზე. მცირე დარბაზული გაფართოებებისა და ვიწრო გასასვლელების მორიგეობით მღვიმე 240 მ-დე გრძელდება.

მეანდრირებული შახტი _ გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 1996 მ სიაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 25 მ, სიგრძე 180 მ-ია.

მეანდრული („მზეთუნახავი") მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას მასივი, ადგ. ნიფურიას დას. ნაწილის ტყიან ზოლში. დაღმავალი, საფეხურებიანი და მკვეთრად მეანდრირებული ვიწრო დერეფანი 100 მ-დე გრძელდება. წყლის ეროზიული მოქმედებით მღვიმის კედლები და ჭერი მოშანდაკებულია. გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 100 მ-ია, სიღრმე 140 მ-ს აღწევს.

მეგობრის სიფონის მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. შუბარას (ხოიჯგეთი) მარცხ. შენაკადის ქვემო წელში, მდინარეთა შეერთების ადგილიდან ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 280 მ სიმაღლეზე. დაღმავალ-ფსკერიანი 10 მეტრი სიგრძის, წყლით გამოვსებული ვიწრო დერეფანი.

მედანის მღვიმე – წალენჯიხის მუნიციპ-ი, ყვირას მასივის სამხრ. პერიფერიაზე, ს. მედანი, მდ. ჭანისწყლის კლდე-კარის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 390 (70) მ სიმაღლეზე. მღვიმე ერთი დიდი დარბაზისაგან (სიგრძე 20, სიგანე 10-12, სიმაღლე 7-10 მ) შედგება.

მედანის მღვიმის შესასვლელი (ხედი შიგნიდან)

მელაკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დარკვეთის სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, მდ. ყვირილას მარჯვ. ფერდობზე. მღვიმე შესასვლელიდან 25-ე მეტრზე სოლივით იქოლება.

მელიის (ნიკორწმინდის) მღვიმე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, ს. ნიკორწმინდის სამხრ. დას-ით 3 კმ-ზე, ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის მარჯვ. ფერდობზე, შაორის წყალსაცავის ჩრდ. კიდედან 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 1223 მ სიმაღლეზე. სიგრძე 70 მ.

მელოურის მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ყუმისთავის ჩრდ-ით, ადგ. მელოურის მიდამოებში, საზაფხულო აგარაკების აღმ-ით ფოთლოვანი ტყის შუაგულში, ზ. დ. 424 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი კირქვის გიგანტურ ნაზავ ლოდებში 15 მ სიღრმემდე ეშვება, რომელსაც

უცნობი დერეფანი აგრძელებს. 45°-ით დახრილი, ლოდებითა და მშრალი ალუვიონით დაფარული ფსკერი 100-120 მ-ის შემდეგ მკვეთრად მეანდრირებულ მონაკვეთს ებმის. მღვიმეს გააჩნია რიგი უცნობი დერეფნები და განშტოებები, საჭიროა კვლევის შემდგომი გაშლა. მღვიმის გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 5300 მ-ია.

მელოურის (ჭოტის) ჭა – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ყუმისთავის ჩრდ-ით, ადგ. მელოურის მიდამოებში, საზაფხულო აგარაკების აღმ-ით, ფოთლოვანი ტყის შუაგულში, ზ. დ. 424 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი ხვრელის სიგანე 0,5 მ, სიმაღლე 0,3 მ-ია. ფსკერის სიგრძე 37 მ, სიღრმე კი 35 მ-ს აღწევს.

მეანფირაძეების I ჭა – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. რგანის ტერიტორიაზე, პალეოხეობის ფსკერზე, ზ. დ. 710 მ სიმაღლეზე. კარსტული ძაბრის ჩაქცევით გაჩენილი 25 მ სიღრმის შვეულკედლებიანი სიღრუე.



მელოურის მღვიმის გიგანტური დარბაზი

მეანფირაძეების II ჭა – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. რგანის ტერიტორიაზე, პალეოხეობის ფსკერზე, ზ. დ. 705 მ სიმაღლეზე. სიღრმე 15 მ.

„მზეთუნახავი“– იხ. მეანდრული მღვიმე.



მთავარი გალერეის (ცუცხვათის II) შესასვლელი

მთავარი გალერეა (ცუცხვათის II) მღვიმე – შაბათაღელის მინისქვეშა კალაპოტის ზემოთ 15 მეტრზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურას (მდ. ყვირილას სისტემა) აუზი, ზ. დ. 260 (27) მ სიმაღლეზე. მრავალსართულიანი მღვიმის II სართული, გაჩენილია ზედა მეოთხეულში. მისი განშტოებებია: რკალისებური მღვიმე (სიმაღლე – 6 მ, სიგრძე– 30 მ), გაერთიანებული ტალანი (სიმაღლე – 13 მ, სიგრძე –80 მ), აპენდიქსი (სიმაღლე – 4 მ, სიგრძე – 60 მ). სიღრმე 20 მ, ჯამური სიგრძე 1370 მ-ს შეადგენს.

მთისკალთის I მღვიმის ნაოჭა ფარდები

მთისკალთის I მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. მთისკალთის აუზი, ს. მთისკალთის ჩრდ-ით 1,5-2 კმ-ზე, მდ. აღმ. გუმისთის მშრალი ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 565 მ სიმაღლეზე. ლაბირინთული, დაღმავალი ტიპის სიღრუე, შედგება დახრილფსკერიანი გვირაბების, მომრო დარბაზებისა და მოკლე საფეხურებისაგან. აქვს განშტოებები, მღვიმის ჭერი რამდენიმე ადგილას გახსნლია, რაც მიუთითებს, რომ მღვიმე ნგრევის სტადიაშია. ჯამური სიგრძე 335 მ-ს შეადგენს.



მთისკალთის II მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. მთისკალთის აუზი, ს. მთისკალთის ჩრდ-ით 1,5-2 კმ-ზე, მდ. აღმ. გუმისთის მშრალი ხეობის მარჯვ. ფერდობზე, მთისკალთის მღვიმის მახლობლად, ზ. დ. 578 მ სიმაღლეზე. ჯამური სიგრძე 75 მ.

მთისკალთის III მღვიმე – სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. მთისკალთის აუზი, ს. მთისკალთის ჩრდ-ით 1,5-2 კმ-ზე, მშრალი ხეობის მარჯვ. ფერდობზე, მთისკალთის II მღვიმის მახლობლად, ზ. დ. 595 მ სიმაღლეზე. მღვიმის ვიწრო შესასვლელი (2,8-1 მ)

სნრაფად ებმის ვრცელ დარბაზს (30x15x3 მ). სიგრძე 36 მ-ია.

მიკოს უფსკრული (Мико) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ადგ. ხიფსთას მიდამოებში, უსახელო მწვერვალის (1599,5 მ) დას-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 2145 მ სიმაღლეზე. უფკრულის სიღრმე 400 მ-ს შეადგენს.

მინსკის უფსკრული – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ხირკას ჩრდ.-აღმ. ფერდობის ძირში, ტროგული ხეობის ფერდზე, ზ. დ. 1850 მ სიმაღლეზე. შედგება 40, 50 და 90 მ სიღრმის შახტების სისტემისაგან. ჩასასვლელიდან 180 მ სიღრმეზე, 90 მ-იანი ჭის ფსკერზე კირქვების ნაზვავის ქვეშ მეანდრული კალაპოტი იწყება და 25 მ-იანი ჭით მთავრდება. მიღნეული სიღრმე 250 მ-ია.

მიქავას (ოქაჯეს) მღვიმე – წალენჯიხის მუნიციპ-ი, ს. მიქავას (ფუქის) ტერიტორიაზე, ლეჩახვას ღელეს (მდ. სკურჩას მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 320 მ სიმაღლეზე, N.42°38.091, E.042°07.114. სუბჰორიზონტალური, ორსართულიანი, გამჭოლი სიღრუის სიგრძე 30 მ-ს აღწევს.

მიქავას მღვიმეში

მიშინის I მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, აბლუხვარას მღვიმის სამხრ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 680 მ სიმაღლეზე. მღვიმე იწყება 42 მ სიგრძის ჭერმაღალი (10 მ) დერეფნით, რომელსაც შუა ნაწილში გამოეყოფა სამხრ.-აღმ-კენ ორიენტირებული 5 მ სიგანის დერეფანი. ეს უკანასკნელი 65 მეტრის შემდეგ გაუვალი ნაპრალით იხშობა. მღვიმის ჯამური სიგრძე 102 მ-ს აღწევს.

მიშინის II მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, მიშინის I მღვიმის სამხრ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 620 მ სიმაღლეზე. შედგება ძირითადი დერეფნისა და ერთი განშტოებისაგან, რომელთა ჯამური სიგრძე 40 მ-ს აღწევს.

მინიერი უფსკრული (Земляного) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ადგ. ხიფსთას მიდამოებში, უსახელო მწვერვალის (1599,5 მ) დას-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 2020 მ სიმაღლეზე. უფსკრულის სიღრმე 260 მ-ს შეადენს.

მინისქვეშა ამტყელი – იხ. შავწყალას მღვიმე.

მოაჯირიანი (ცუცხვათის VIII) მღვიმე – ტყიბულის მუნიციპ-ი, ს. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე-ჭიშურას აუზი, ზ. დ. 328 (56) მ სიმაღლეზე. შესასვლელი იხსნება ძნელად მისადგომ ქარაფში. ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანის IX სართული. სიგრძე 6 მ-ს შეადგენს.

მოთენას მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატო, ტაბაკელას ქედის ჩრდ. ფერდობი, მდ. აბაშის ხეობის მარცხ. მხარეს,

ს. ბალდის აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 570 (250) მ სიმაღლეზე. მღვიმე ორი დიდი დარბაზისაგან (30x20x15 და 30x25x12 მ) შედგება, რომლებიც ერთმანეთს ვიწრო, მაგრამ მაღალი გასასვლელებით უკავშირდებიან. შეასვლელთან ამოშენებულია ქვითკირის კედელი. ისტორიული დროის ნაგებობა, შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო ციხე-სიმაგრედ. მღვიმეში გაედინება ნაკადი, რომელიც ბოლოში მოზრდილი ტბით მთავრდება. მღვიმის სიგრძე 95 მ-ს აღწევს.



მოთენას მღვიმის შესასვლელი ისტორიული ნაგებობით

ᲛᲝᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. მუჯირეთის მიდამოებში, ე. ნ. მოლევის უბანში, მდ. ძუსას ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 280 მ სიმაღლეზე. სუბჰორიზონტალური გვირაბის ტიპის, 20 მ სიგრძის სიღრუე.

ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲝᲛᲝᲠᲔ (Memento o more) – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2020 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 115 მ-ია, სიგრძე 260 მ-ს აღწევს.

ᲛᲝᲡᲐᲜᲧᲔᲜᲘ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ს. დურიფშის ტერიტორიაზე, სოფლის ცენტრიდან სამხრით 0,15 კმ-ზე, მდ. ხიფსთის აუზი, ზ. დ. 160 მ სიმაღლეზე. საწყისი მონაკვეთი 35 მ სიღრმის ჭას წარმოადგენს, რომელსაც ფსკერზე ჰორიზონტალური დერეფნების სისტემა აგრძელებს. ძირითადი დერეფანის ორივე ბოლო სიფონური ტბით იხშობა.მღვიმის ჯამური სიგრძე 420 მ-ია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲣᲠᲘ – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი. სიღრმით (1125 მ) №7 კარსტული უფსკრული საქართველოში.

ᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲘ – ხონის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ს. გორდის მიდამოებში, საჩიქვანოს ქედის (მდ. მდ. აბაშისა და ოკაცეს სათავეების წყალგამყოფზე) თხემურ ნაწილში, თურჩუს ქვაბულის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ.დ. 1240 მ სიმაღლეზე. სიგრძე 95 მ.

ᲛᲡᲢᲕᲔᲜᲐᲕᲘ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მწვ. გუმიშხას (1800 მ) სამხრ.-აღმ-ით 3,5 კმ-ზე, ზ. დ. 1100 მ სიმაღლეზე. მღვიმე შესასვლელიდან მე-40 მეტრზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ᲛᲢᲘᲠᲐᲚᲐ (Плакучая) – ბზიფის კირქვული მასივი. უფსკრულის სიღრმე 140 მ-ს აღწევს.

ᲛᲣᲠᲯᲘᲡ I ᲭᲐ – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ტაბაკელას ქედის სამხრ.-დას. ნაწილი, მდ. აბაშის აუზი, ს. გაჭედილის ჩრდ.-აღმ-ით 2-2,5 კმ-ზე, ზ. დ. 635 მ სი-

მაღლეზე. ჭა 38 მ-ზე ნაზვავით იხშობა.

მურზის II ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ტაბაკელას ქედის სამხრ.-დას. ნაწილი, მდ. აბაშის აუზი, ს. გაჭედილის ჩრდ.-აღმ-ით 2-2,5 კმ-ზე, ზ. დ. 630 (350) მ სიმაღლეზე. სიღრმე 10 მ.

მუსინის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ადგ. „ხიფსთას" მიდამოებში, ტყისა და ალპური ზოლის გამყოფ საზღვართან, მწვ. ხიფსთას სამხრ-ით 1,8 კმ-ზე, ზ. დ. 1700 მ სიმაღლეზე. რთული, ლაბირინთული ტიპის, მეანდრირებული გამჭოლი სიღრუე, რამდენიმე შესასვლელით. ჯამური სიგრძე 250 მ-ს აღწევს.

მულუზის ქარიანი უფსკრული – მარტვილის მუნიციპ-ი, მიგარიას მასივის სამხრ. ნაწილში, ბერულავების წელამის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. მულუზის (მდ. ტეხურის შენაკადი) აუზში. სიღრმე უცნობია.

მუჩერას მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ნეელდის ქედის ჩრდ.-დას. ფერდობი, მდ. ნაჩხურის აუზი, ს. ლესხულუხეს ჩრდ-ით 6,5 კმ-ზე, ზ. დ. 700 (300) მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 12 მ-ია.

მუჩერას ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მუჩერას მთის ჩრდ.-დას. ფერდობი, მდ. ნაჩხურის აუზი, ს. ლესხულუხეს ჩრდ-ით 7 კმ-ზე, ზ. დ. 710 (220) მ სიმაღლეზე. სიღრმე 40 მ-ს შეადგენს.

მუხლისებრივი მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, ადგ. დიდვაკეზე, გელგელუკის დასახლების აღმ-ით 4,5-5 კმ-ზე, ზ. დ. 2300 სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 90 მ-ია.

მუხურის მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. მუხურის ტერიტორიაზე, ქოყოს უბნის ჩრდ-ით, საავტომობილო გზის მარჯვ. 30 მ-ში. შესასვლელი იხსნება 12 მ-იანი ძაბრის ფსკერზე და მთავდრება თიხის საცობით.

მუხურის ჭა – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. მუხურის ტერიტორიაზე, მდ. ხობის მარჯვ. მხარეს, ხიდიდან 100 მ დაშორებით, ზ. დ. 320 მ სიმაღლეზე. სიღრმე 17 მ, გაჭიმულობა 27 მ-ს შეადგენს.

მუჯირეთის მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. მუჯირეთის მიდამოებში, ე, წ. მოლევის უბანში, მდ. ძუსას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 275 (15) მ სიმაღლეზე. აღმავალფსკერიანი გვირაბის ტიპის სიღრუე, 90-ე მეტრზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.



მღვიმე გზის პირას – ამბროლაურის მუნიციპ-ი, რაჭის კირქვული მასივი, შაორის წყალსაცავის მახლობლად, მეორე ხიდიდან 200 მ-ის მოშორებით. მღვიმის შესასვლელი გაიხსნა საავტომობილო გზის სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს. სიგრძე 50 მ-ს აღწევს.

მღვიმე გზის პირას

მღვიმევი – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. მღვიმევი, მდ. ყვირილას ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ჭიქაურის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ზე, ზ. დ. 60 (35) მ სიმაღლეზე. კლდოვანი ფარდულების კომპლექსი. მთავარი დარბაზი 35 მ-ის სიგრძეზეა შეჭრილი კლდეში. იგი ამჟამად ხელოვნურად არის გადაკეთებული მონასტრის სამლოცველო დარბაზად. ერთ-ერთი ფარდულის კედელზე აღმოჩენილი იქნა ზედაპალეოლითელი ადამიანის მხატვრობის ნიმუშები.

მღვიმევის მღვიმე, გადაკეთებული მონასტრის სამლოცველო დარბაზად

მღვიმე „სომხური ხეობის" მარჯვ. ფერდობზე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ.-დას-ით, „სომხური ხეობის" მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 170 (20) მ სიმაღლეზე. 35 მ სიგრძის სილრუე.

მყინვარის შახტი (Ледник (П1-11, Провал под Зонтом) _ გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, შორის, ე. წ. სამკუთხედში, ზონტის მწვერვალის ძირში, ზ. დ. 2285 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 95 მ-ს შეადგენს.

მშრალღელეს (სქირღელეს) შახტი – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ნეგელდის ქედის სამხრ.-დას. ფერდობი, მდ. ნაჩხურის შენაკად მშრალღელეს მარცხ. ფერდობზე, ს. ლესხულუხეს ჩრდ-ით 10 კმ-ზე, ზ. დ. 810 (3) მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 70 მ-ს აღწევს.

მწყემსების ჭა №1 – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის უკიდურეს აღმ-თ ნაწილში, მწვ. მიგარიას დას-ით 300 მ-ში, ზ. დ. 1590 მ სიმაღლეზე. X: 280.887; Y: 4723.597. ჩასასვლელი იხსნება 10 მ დიამეტრის მქონე კარსტული ძაბრის ფსკერზე. 5 მ სიგრძის გასასვლელის მიღმა შეინიშნება ჰაერის მძლავრი ნაკადი. მღვიმე შეუსწავლელია.

მწყემსების ჭა №2 – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის უკიდურეს აღმ-თ ნაწილში, მწვ. მიგარიას დას-ით 200 მ-ში, ზ. დ. 1600 მ სიმაღლეზე. X: 280.872; Y: 4723.674. ჭა ძაბრის ფსკერზე გახსნილი ძალზე ვიწრო (0,3 მ) ჩასასვლელით 10 მ სირმემდე ეშვება. მღვიმე შეუსწავლელია.

მწყემსების ჭა №3 – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის უკიდურეს აღმ-თ ნაწილში, მწვ. მიგარიას დას-ით 100 მ-ში, ზ.

დ. 1830 მ სიმაღლეზე. X: 281.385; Y: 4723.678. ჩასასვლელი კარსტული ძაბრის სამხრ.-აღმ-თ ფერდზე იხსნება და 2,5 მ სიღრმის საფეხურით უცნობ სიცარიელეში გადადის. მწყემსების გადმოცემით ჭის სიღრმე რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს.

მჭიშთის ვოკლუზის მღვიმე _ გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, შავწყალას საკალმახე მეურნეობის ტერიტორიაზე, ვოკლუზების გამოსასვლელებთან. მღვიმე ჩასახულია ტექტონიკური რღვევის ზოლში, რომელიც ვოკლუზური წყაროების გამოსასვლელებიდან მჭიშთას ფლატის თავზე ამფითეატრისებურ ჩადაბლებას, გრძელი მშრალი ხევის გასწვრივ გაუყვება. მჭიშთას დაზვერილ სიფონურ დერეფანს რთული მორფოლოგია აქვს. მიწისქვეშა ნაკადის განტვირთვის არეალში ფსკერი საფეხურებრივად ეშვება და შესასვლელიდან 75-80-ე მეტრზე დერეფნის უღრმესი წერტილი 46 მ-ით აღინიშნება. სიფონური დერეფნის შორეულ ნაწილში – შესასვლელიდან 180-ე მეტრზე ჰაერის პირველი კამერა ჩნდება. 250 მ-იანი სიფონური მონაკვეთის მიღმა 1200 მ სიგრძის დერეფანი ბოლოში საკმაოდ ღრმა და მოზრდილი სიფონური ტბით იხშობა. რუსი და უკრაინელი სპელეოაკვანავტების მიერ საკმაოდ რთულ წყლიან მიწისქვეშა გასასვლელებში დაძლეულ იქნა 240/-46, 120/-20 და 320/-45 მ სიგრძისა და სიღრმის საკმაოდ რთული სიფონური მონაკვეთები. წყლით გამოვსებული დერეფნების ჯამური სიგრძე 20000 მ-ს აჭარბებს. ერთ-ერთი სიფონური ტბის უღრმესი წერტილი -80 მ-ით აღინიშნება. კვლევა გრძელდება.



M (1-1) (Минск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით, ბუჩქნარით შემოსაზღვრულ სიმინდის ყანაში, ზ. დ. 500 მ სიმაღლეზე. სიღრმე 30 მ.

M (1-6) (Минск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით, წყალგამყოფი ქედის თხემზე, ე. წ. „პოლიანას" შუაგულში არსებული კარსტული ძაბრის ფსკერზე, ზ. დ. 375 მ სიმაღლეზე. სიღრმე 50 მ.

M (1-8) (Минск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, ს. ოთხარის მიდამოებში, მჭიშთას ფლატეების თავზე, ვოკლუზიდან აღმ-ით 1,6 კმ-ზე, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 22 მ-ს აღწევს.

M-85 (Минск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. ხიფსთას (2 498,5 მ) ჩრდ.-აღმ-ით 0,8 კმ-ზე, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. 85 მ სიღრმის შახტი.

M–64–85-ის მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი. მღვიმეში შესასვლელი თოვლის და-

ნაგროვებში იხსნება (სიგანე 6 მ) და ჩრდ.-აღმ. მიმართულებით სნორხა-ზოვნად მიემართება 60 მ სიგრძეზე.

МГУ–197 (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, გამყოფი ქედის მიდამოებში, თოვლიან-მეჟენის უფსკრულთა სისტემის აღმ-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. შახტი 75 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

МГУ (Н-3) (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ზაშირბარას ქედის სამხრ. ფერდობი, სატყეოს გზიდან სამხრ.-დას-ით 150 მ-ზე, ბზის II ჭის აღმ-ით 1,2 კმ-ზე, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. შახტი 15 მ სიღრმეზე ნგრეული ქანებით იქოლება.

МГУ–74 (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ს. აპუხოვოდან ზაშირბარას ქედისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მკვეთრი მოსახვევიდან 450 მეტრში, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. შახტი მე-15 მ-ზე ნაზვავით იხშობა.

МГУ–55/1 (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის აღმ. ნაწილი, მდ. დზბაჟას სათავეში, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 55 მ-ს აღწევს.

МГУ–55/2 (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი. შახტი წარმოადგენს აფეხურებრივად განლაგებული ჭების სისტემას, რომელიც 55 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა.

МГУ–52 (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი. შახტი 52-ე მეტრზე ნაპრალში გაჭედილი ლოდით იქვე იხშობა.

МГУ (76-12) (Московский Государственный Университет) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის აღმ. ნაწილი, მდ. დზბაჟას სათავეში, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. შახტი იხსნება თოვლყინულიანი მასით ამოვსებული კარსტული ძაბრის ფსკერზე. სიღრმეში თანდათან ფართოვდება და 30 მ-იანი ნიშნულიდან თოვლისა და ფირნის სქელი ფენითაა ამოვსებული. ჭის სიღრმე 52 მ-ია.

МИС-I (Минская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. შახტი ლოდნარით ამოქოლილი 4 მ სიგრძის ნაპრალით იწყება და 30 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა.

МИС-II (Минская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით, ზ. დ. 875 მ სიმაღლეზე. ძაბრის ფსკერზე გახსნილი საფეხური 20 მ-ის სიღრმეზე ნაზვავით იხშობა.

ნ

ნაგარევის ეხი – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. ნაგარევის ტერიტორიაზე, მდ. საბანელის მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 105 (5) მ სიმაღლეზე, N.42°14.927, E.042°48.253. ეხი

იწყება 3-4 მ სიღრმის საფეხურით, რომელიც დახრილი ფსკერით 20 მ სიგრძის, 10-12 მ სიგანისა და 6 მ სიმაღლის უხვი ნაღვენთი ფორმებით წარმოდგენილი დარბაზით მთავრდება.

ნაგარევის მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. გოდოგანის ტერიტორიაზე, გოდოგნის მღვიმიდან სამხრ.-დას-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 190 მ სიმაღლეზე. მღვიმე ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზების მონაცვლეობით 140 მ-დე გრძელდება.

ნაგარევის ეხის სვეტებიანი დარბაზი

ნადარბაზევის მღვიმე – ჯავის მუნიციპ-ი, ს. ნადარბაზევი, მდ. ჯეჯორას მარცხ. მხარეზე, მდ. ყვირილას აუზი, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 14 მ-ს აღწევს.

ნადარბაზევის ჭა – ჯავის მუნიციპ-ი, ს. ნადარბაზევი, მდ. ჯეჯორას მარცხ. მხარეზე, მდ. ყვირილას აუზი, ზ. დ. 1650 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 13 მ-ია.

ნავარძეთის ჭა – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ნავარძეთის მიდამოებში, ზ. დ. 640 მ სიმაღლეზე. ტექტონიკურ ნაპრალში განვითარებული 7 მ სიღრმის ჭა.

ნავენახევის კეთილმონყობილი მღვიმის ერთი მონაკვეთი

ნავენახევის მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. ნავენახევის ტერიტორიაზე, ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან 7 კმ-ის დაშორებით, ზ. დ. 235 მ სიმაღლეზე. მღვიმე გასული სკ-ის 80-იანი წლებიდან სპელეოტურისტულ ობიექტს წარმოადგენს. კეთილმოწყობილო მონაკვეთის სიგრძე 105 მ-ს შეადგენს.

ნაზოდელავოს მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ს. ნაზოდელავო, მდ. ზანას (მდ. ხობისწყლის მარცხ. შენაკადი) ხეობაში, საველეკუოს მღვიმის ჩრდ.-აღმ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 240 (50) მ სიმაღლეზე. ჰორიზონტალური, გამჭოლი მღვიმე იწყება მოზრდილი შესასვლელი დარბაზით (15x20x12 მ). ეს უკანასკნელი 2 მ-იანი საფეხურით უკავშირდება გვირაბს, რომელიც 290 მ შემდეგ ზედაპირზე გამოდის. ჩრდ. შესასვლელიდან 155-ე მეტრზე გვირაბს გამოეყოფა დას. განშტოება, რომელიც მოკლე მუხლის შემდეგ მთავარი გვირაბის მიმართულებას იძენს და ისიც 280 მ-ის შემდეგ ზედაპირზე გამოდის. სიგრძე 600 მ.

„ნაკონეჩნაია" (Наконечная) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. ხიფსთას (2 498,5 მ) ჩრდ.-აღმ-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 2160 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 40 მ-ს შეადგენს.



ნამძლევიკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. თაბაგრების მიდამოებში, მდ. თაბაგრებისწყლის მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 610 (25) მ სიმაღლეზე. სიგრძე 85 მ.

ნაპოს მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ტაბაკელას ქედის დას. ფერდობი, მდ. აბაშის აუზი, ს. ბალდის აღმ-ით 3-4 კმ-ზე, ზ. დ. 730 (550) მ სიმაღლეზე, რკალისებური ფორმის 10 მეტრის სიგრძის გვირაბი.

ნაპოს ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ტაბაკელას ქედის დას. ფერდობი, მდ. აბაშის აუზი, ს. ბალდის აღმ-ით 3-4 კმ-ზე, ზ. დ. 850 (570) მ სიმაღლეზე. ჭა 10 მ სიღრმეზე ლოდებით იხშობა.

ნაპრალური სიფონი („რელსები")– წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ყუმისთავის ტერიტორიაზე, ყუმის ვოკლუზური წყაროების ჩრდ.-დას-ით 1,7 კმ-ზე. ნაპრალის ფსკერზე (ზედაპირიდან 25 მ-ზე) 40 მ სიღრმის სიფონური ტბაა, რომელიც წყალტუბოს მღვიმური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სიფონური ტბის დონე (ზ. დ. 125 მ) მდ. ყუმის გამოსასვლელების დონეს ემთხვევა.

ჩასასვლელი ნაპრალურ სიფონში

ნაქვიას შახტი – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ნკვარამისწყაროს მღვიმის აღმ-ით 50 მეტრზე, ზ. დ. 415 მ სიმაღლეზე. სიღრმე 33 მ, სიგრძე 100 მ.

ნასკალის – იხ. კელასურის V მღვიმე.

ნაფიჩხოვოს მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. ნაფიჩხოვოს ჩრდ-ით 5 კმ-ზე. მღვიმე ორსართულიანია, მშრალი. ბოლო ნაწილი თიხის საცობით არის ამოქოლილი. მღვიმის სიგრძე 30 მ-ს აღნევს.

ნაფრა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. ნაფრადან აღმ-ით 20 მ-ზე, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. ძაბრის ფსკერზე გახსნილი სიღრუე 190 მ სირმემდე ურთიერთგადამკვეთი ნაპრალების სისტემას წარმოადგენს. ნაზვავ ლოდნარს შორის ვიწრო გასასვლელებისა და კასკადების სისტემების მონაცვლეობით უფსკრუ-

ლი 300 მ სიღრმეზე დიდ ჭას (გრან პრი, სიღრმე 65,5 მ) აწყდება. უფსკრულის ძირითად მაგისტრალს (450 მ სიღრმეზე) ორი შახტი გამოეყოფა, რომელთაგან ერთი 595 მ, ხოლო მეორე 630 მ სიღრმემდე ვრცელდება. უფსკრულის შემდეგი გაგრძელება „კიბოს დარბაზიდან" იწყება. დარბაზის შორეულ კუთხეში 65 მ-იანი ჭის ჩასასვლელია, რომელსაც ჭებისა და დახრილი დერეფნების სისტემა მოსდევს და 930 მ სიღრმეზე მოზრდილ დარბაზს ებ-



მის. აქედან ჰორიზონტალურფსკერიანი, 450 მ სიგრძის ფართო დერეფნის შემდეგ, დიდი ოვალური ფორმის დარბაზია (70x25x30 მ). უფსკრული 970 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ნასიზნეგების მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. გუნდაეთი, მდ. საძალახევის აუზი, ძნელად მისადგომ ციცაბო მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 740 (95) მ სიმაღლეზე. შესასვლელი ორი დიდი გვირაბის სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც ერთმანეთთან ვიწრო ბაქანითაა დაკავშირებული, აქვს რამდენიმე განშტოება. სიგრძე 240 მ.

ნევის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. დახრილ-ფსკერიან გვირაბს მე-15 მ-ზე ებმის 25 მ სიღრმის ჭა. ვიწრო გასასვლელი 20 მ შემდეგ გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ნიავის შახტი (Ветерок) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, კანიონის უფსკრულის სამხრ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 1280 მ სიმაღლეზე. შახტი 270 მ სიღრმეზე ლოდნარით იხშობა, ჯამური სიგრძე 400 მ-ს აღწევს.

ნიანგის უფსკრული (Крокодил) გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. კვანშას მიდამოებში. უფსკრულის ჯამური სიღრმე 180 მ-ს შეადგენს.

ნიგოზეთის (ჯიხურას) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ნიგოზეთის ტერიტორიაზე, მდ. საძალეხევის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 650 (70) მ სიმაღლეზე. ჯამური სიგრძე 310 მ-ს აღწევს.



ნიკორნეინდის – იხ. მელიის მღვიმე.

ნიკრისას მღვიმე – იხ. კლდისწყლის მღვიმე.

ნიუ ქეივ (Нью-Кейв) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის აღმ-თი ნაწილი, ე. წ. „სამკუთხედში", ზ. დ. 2340 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 570 მ, ხოლო სიგრძე 1800 მ-ს აღემატება.

ნოვოკუზნეცკის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი. ჯამური სიღრმე 270 მ-ს აღწევს.

ნოქტიურნის უფსკრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი, მწვ. ჩიბუაგრას დას-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 1960 მ სიმაღლეზე. საწყისი მონაკვეთი დახრილი და ვიწრო (0,2-1,0 მ) მეანდრირებული დერეფანია, რომელიც 25 მ-ის შემდეგ ფართოვდება და 50 მ სიღრმეზე მომდევნო მეანდრში გადადის. 300 მ სიღრმემდე გაედინება



წყლის ნაკადი, რომელიც 30 მეტრიან ჭაში ეშვება. ჭის ფსკერიდან ჰორიზონტალური დერეფანი 140 მ-დე გრძელდება. 435 მ სიღრმეზე კასკადების (22, 10 და 10 მ) რთული სისტემაა წარმოდგენილი. უფსკრული 462 მ-ზე ნაზვავით იხშობა.

ნოღის მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ს. ნოღის ჩრდ.-აღმ-ით 2 კმ-ზე, მდ. შებეს (მდ. ცივის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეზე, ზ. დ. 260 (25) მ სიმაღლეზე. აღმავალი, დახშული მღვიმე ივითარებს მთავარ გვირაბს, რომლის სიგრძე 205 მ-ს შეადგენს. მღვიმის ჯამური სიგრძე განშტოებებით 290 მ-ს აღწევს.

ნოჭადენის შახტი – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, წეკელდის ქედის სამხრ.-დას. ფერდობი, მდ. ნაჩხურის შენაკად მშრალღელეს მარცხ. ფერდობზე, ს. ლესხულუხეს ჩრდ-ით 9 კმ-ზე, ზ. დ. 650 (75) მ სიმაღლეზე. შახტი იწყება 3-4 მ სიგრძის ჩასასვლელით. სიღრმეში ფართოვდება. 50 მ სიღრმეზე ებმის 10 მ ვერტიკალური საფეხური და იქვე იქოლება. შახტის სიღრმე 70 მ-ია.

№1-8-ის მღვიმე (Минская секция спелеотуризма) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, ს. ოთხარის მიდამოებში, მჭიშთას ფლატეების თავზე, ვოკლუზიდან აღმ-ით 1,6 კმ-ზე, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. მკვეთრად დახრილი ციცაბო დერეფანი 22 მ სიღრმემდე ეშვება. გაჭიმულობა 45 მ-ს აღწევს.

НСЭ-81/110 – (Новосибирская спелеологическая экспедиция) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. ბატახის მიდამო-

ებში, პილუგის შახტის სამხრ.-აღმ-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. შახტი 110 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

НСЭ-55 (Новосибирская спелеологическая экспедиция)– გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის დასით 2,3 კმ-ზე, აჩაქვას დასახლების დას-ით ციტრუსების პლანტაციაში, ზ. დ. 320 მ სიმაღლეზე. სიღრმე 56 მ, სიგრძე 105 მ.

НКСС-83/1 (Новокузнецская секция спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, „საგაზაფხულო" შახტის აღმ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 100 მ-ს აღწევს.

ო

ოდიშის ჭა – გულრიფშის მუნიციპ-ი, აფიანჩა-ჩიჟოუშის ქედის ჩრდ. ფერდობზე, ს. ოდიშის სამხრ-ით. ჭის სიღრმე 9 მეტრს აღწევს.

ოთხარას მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, ს. ოთხარას ტერიტორიაზე, მდ.შავწყალას აუზი, ზ. დ. 185 მ სიმაღლეზე. მღვიმე 5 მ-იანი ჭით იწყება, რომელიც სწრაფად ებმის ვრცელ მიწისქვეშა დერეფანს. ბოლო მონაკვეთი 2 მ ჩანჩქერის შემდეგ გადადის ვრცელ დარბაზში, რომელიც 128-ე მეტრზე პონორით იხშობა.



ოლორის მღვიმე – წალენჯიხის მუნიციპ-ი, ოხაჩქუეს კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ს. ერისწყლის ჩრდ-ით 2-3 კმ-ზე, ხეობის გასწვრივ, მდ. ოლორის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 400 (-6) მ სიმაღლეზე. სიგრძე 65 მ-ს აღწევს.

ონიორეს – იხ. ტობას I მღვიმე.

ორთაბალაგანის ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ორთაბალაგანის ხეობაში, ადგ. გიუზლედან ორთაბალაგანისაკენ მიმავალი ბილიკის პირას, ზ. დ. 2050 მ სიმაღლეზე. 15 მ სიღრმის ჭა, ფსკერზე დარბაზული გაფართოებით.

ორთვალაკლდის (წილთოს III) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სვერის მიდამოები, სოფლის ეკლესიიდან 2,5 კმ-ის დაშორებით, მდ. წილთოს (მდ. საძალეხევის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 530 (90) მ სიმაღლეზე. მღვიმეს ორი შესასვლელი გააჩნია, რომ-

ორთვალაკლდის მღვიმის ერთ-ერთი შესასვლელი

ლებიც უსახელო მთის ციცაბო ფერდობზე, ერთმანეთისაგან 30 მ-ის მოშორებით მდებარეობენ. სიგრძე 180 მ-ს აღწევს. ისტორიული დროის ნაგებობა. წინა გვირაბის კედლებს ეტყობა ხელოვნური დამუშავების კვალი.

ORთქლმავალი (Паровоз. Колесообразная) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ყოეკვარას ტროგული ხეობის ზემო წელში, ნევის უფსკრულის სამხტ.-დასთით 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 2270 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 27 მ, ჯამური სიგრძე 95 მ-ს აღწევს.

ORი პინგვინის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის ჩრდ. ნაწილი, კარული ველის მიდამოებში, ზ. დ. 230 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 60 მ-ს შეადგენს.

ORკუსის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან სამხრ.-დას-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. შახტი 150 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ORმაგი ეხი (ცუცხვათის V) – ტყიბულის მუნიციპ-ი, ს. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურას აუზი (მდ. ყვირილას სისტემა), ზ. დ. 285 (25) მ სიმაღლეზე. ცუცხვათის მღვიმოვანის VI სართული. მისი ჩრდ. გაგრძელება ჩანგრეულია მთავარ ტალანში. სიგრძე 25 მ-ია.

ORმოეგის (კოჟეგის) მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დარკვეთის მიდამოებში, მდ. ყვირილას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 640 (110) მ სიმაღლეზე. აღმავალფსკერიანი გამჭოლი სიღრუე. სიგრძე 236 მ.



ORპირის მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ყუმისთავის ტერიტორიაზე, წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმის შესასვლელთან, ზ. დ. 147 მ სიმაღლეზე. ORპირი წყალტუბოს ძირითადი მღვიმის ნაწილს წარმოადგენდა. გაჩენილია ჭერის ჩაქცევით, რამაც ამ ORი მღვიმის განცალკევება გამოიწვია. სიგრძე 50 მ-ს აღწევს.

ORშესასვლელიანი მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, პოლტავის წყლიანი მღვიმის სამხრ-ით 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 500 მ სიმაღლეზე. მღვიმის ჯამური სიგრძე 185 მ, სიღრმე 30 მ-ს აღწევს.

ORხვის მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, ს. ORხვთან, ზ. დ. 1100 მ სიმაღლეზე. მღვიმე წარმოადგენს 12 მ სიგრძის კლდოვან ფარდულს, რომელიც 200 მეტრიანი ფლატის გასწვრივ არის გახსნილი.

ORტაპის ზედა მღვიმე – ORჰამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ORტაპის აუზი, ს. ORტაპის ჩრდ.-აღმ-ით 1 კმ-ზე. მცირე სიღრმის საფეხურებისა და დახრილი დერეფნების მონაცვლეობით მღვიმის ჯამური სიღრმე 60 მ-ს, სიგრძე კი 150 მ-ს აღწევს.

ოტაპისთავის
წყლიან მღვიმეში

ოტაპისთავის მღვიმე – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, ს. ოტაპის ჩრდ-ით 0,7-0,8 კმ-ზე, ზ. დ. 275 მ სიმაღლეზე. მღვიმე იწყება ვრცელი შესასვლელით, რომელიც სიღრმეში უფრო ფართოვდება. 60-65-ე მეტრზე დიდი დარბაზია (25x20x15 მ) წარმოდგენილი. ბოლო ნაწილში ნაპრალოვან სიღრუეში გადადის და 1200 მ-ზე სიფონით მთავრდება.

ოტაპისთავის შახტი – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, ს. ოტაპის ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ოტაპისთავის მღვიმის მახლობლად, ზ. დ. 260 მ სიმაღლეზე. 35 მ სიღრმეზე ებმის ჰორიზონტალურ დერეფანს, რომელიც 90 მ სიგრძემდე ვრცელდება.

ოუნლი სთოუნს (Only Stones) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის ჩღდ-აღმ. ნაწილში, ადგ. „ძოუს" მიდამოებში, ზ. დ. 2230 მ სიმაღლეზე. უფსკრულის სიღრმე 380 მ, ჯამური სიგრძე 900 მ-ს აღემატება.



ოფიჭოს მღვიმე-ესტაველა – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ყუმისთავის ტერიტორიაზე, წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმის ჩრდ.-აღმ-ით 0,8-1 კმ-ზე, ზ. დ. 159 (20) მ სიმაღლეზე. მღვიმეში სამი სიფონური ტბაა. ძირითად დერეფანში გაედინება 15-20 ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი. თავსხმა წვიმების პერიოდში ოფიჭოს მღვიმიდან 20-25 ათასი $მ^3$ წყალი გადმოდის, რომელიც ორპირის მღვიმის გავლით წყალტუბოს მღვიმის ქვედა სართულებში იწრიტება. წყლიანი მონაკვეთების სიგრძე 3800 მ-ს შეადგენს.

ოფიჭოს მღვიმე-ესტაველას
პირველი სიფონი

ოქაჯე – იხ. მიქავას მღვიმე.

ოქტომგრის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. დიდი მაჭარის

აუზი, ს. ოქტომბრის სამხრ-ით, პაცკირის კანიონის მარცხ. მხარეზე. მღვიმის სიგრძე 15 მ-ია.

ოქტომბრის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. მაანიკვარას აუზის ზემო წელში, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ს. აქვაჩას სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 460 მ სიმაღლეზე. სიგრძე 58 მ-ს აღწევს.



ოქუმის მღვიმე – გალის მუნიციპ-ი, ოხაჩქუეს კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, მდ. ოქუმის მარჯვ. მხარეზე, ზ. დ. 400 (40) მ სიმაღლეზე. 8 მ სიგრძის აღმავალი დახშული გვირაბი.

ოღასყურის (სათაფლიის მღვიმის გამოსასვლელი) მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისის ჩრდ.-დასით 7 კმ-ზე, სამგურალის სერის სამხრ. კალთაზე, სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე. სიგრძე 25 მ.

ოცინდალეს ჭა – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას მასივის დას. ნაწილში, მდ. შიქშას ხეობის ჩრდ. მხარეზე, მუხურიდან წიფურიასაკენ მიმავალი ბილიკის ახლოს, ზ. დ. 275 მ სიმაღლეზე. სიღრმე 25 მ-ს აღწევს.

ოჭანდარეს I მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, ახისთა-ახუფაჩის ქედის სამხრ-დას. ფერდობი, მდ. თეთრახევის სათავეში, ს. ოჭანდარეს ჩრდ-ით, ზ. დ. 840 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 23 მეტრს აღწევს.

ოჭანდარეს II მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, ახისთა-ახუფაჩის ქედის სამხრ.-დას. ფერდობი, მდ. თეთრახევის სათავე, ს. ოჭანდარეს მღვიმის ჩრდ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 870 მ სიმაღლეზე. მღვიმე 35 მ მანძილზე ვრცელდება.



ოხაჩქუეს ჭა-საყინულე – გალისა და წალენჯიხის მუნიციპ-ების საზღვარზე, ოხაჩქუეს მასივის ჩრდ.-ალმ. ნაწილში, ადგ. ჯაკონაში, მდ. ერისწყლის აუზი, ზ. დ. 2050 მ სიმაღლეზე. ტომრისებური ფორმის 9 მ სიღრმის ჭა, ფსკერზე თოვლისა და ყინულის დანაგროვებით.

ოხვამეშ-კარის მღვიმე – ხობის მუნიციპ-ი, ს. პირველი მაისის მიდამოებში, ურთის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. ბაკვაღალის სათავეში, მიქანდარიოს ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ზ. დ. 95 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 147 მ-ს აღწევს.

ოჯოგეს ჭა – ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონების საზღვარზე, მიგარიას მასივის სამხრ. ფერდობზე, ადგ. ოჯოგეში, მდ. ხურუს (მდ. ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი) უსახელო შენაკადის მარცხ. ნა-

პირზე, ზ. დ. 660 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 40 მ-ს აღწევს.

20-მეტრიანი ჭა – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, კოდორის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, 43 მ-იანი ჭის აღმ-ით 150 მეტრში, ზ. დ. 580 მ სიმაღლეზე. სიღრმე 20 მ-ია.

35 მეტრიანი ჭა – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, 50 მ-იანი ჭის ახლოს, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. 35 მ სიღრმის ჭა ფსკერზე ჰორიზონტალური გვირაბით მთავრდება.

43 მეტრიანი ჭა – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, ს. ოტაპის ჩრდ.-დას-ით, ოტაპისთავის მღვიმიდან 10 წუთის სავალზე, ზ. დ. 560 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 43 მ-ია.

50 მეტრიანი ჭა – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, ურთხელის შახტიდან ჩრდ.-ჩრდ.-დასით 0,2 კმ-ზე. ჭაში ჩასასვლელი ოვალური ფორმის ძაბრის (6X4 მ) ფსკერზე იხსნება და სწორხაზოვნად მიემართება 50 მ სიღრმემდე.

52 მეტრიანი შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი. ჭის სიღრმე 52 მ-ს აღწევს.

55 მეტრიანი შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. სიღრმე 55 მ.

55 მეტრიანი ჭა – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. ოტაპის აუზი, აღმ. გადასასვლელიდან 5-10 წუთის სავალზე.

პ

პანტიუხინის სახელობის უფსკრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის მასივის დას. ფერდობი, ზ. დ. 1650 მ სიმაღლეზე. უფსკრულის პირველი მონაკვეთი მღვიმის ზედა ნაწილს მოიცავს 600 მ სიღრმემდე და წარმოდგენილია კასკადური ჭებისა და ღრმა საფეხურების რთული სისტემით. მათ შორის ყველაზე ღრმა 107 მ-ს აღწევს. მეორე მეანდრირებული, დახრილ ფსკერიანი მონაკვეთი 650-ე მეტრ სიღრმეზე იწყება და 400 მ-დე გრძელდება. დერეფნის ბოლოში, 30 მ სიღრმის ჭას, უფსკრულის მესამე მონაკვეთი აგრძელებს, რომელსაც გეგმაში მეორე მონაკვეთის საწინააღმდეგო მიმართულება აქვს. უფსკრულის ჩასასვლელიდან 800 მ სიღრმეზე, მღვიმის მეოთხე მონაკვეთი იწყება, რომელიც ფაქტიურად 200 მ სიღრმის ჭით არის წარმოდგენილი. 1025 მ სიღრმეზე იგი ნგრეული მასალით ამოქოლილ ნაპრალს აწყდება. ამჟამად აქ მიღწეული სიღრმით (1508 მ) „პანტიუხინი"პლანეტის უღრმეს მღვიმეთა ათეულში მე-8 ადგილს იკავებს. მასში უფრო ღრმად ჩაღწევის რეალური პერსპექტივაა.

პასიეთის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. პასიეთის მიდამოებში, მდ. ყვირილას მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 405 (12) მ სიმაღლეზე. მღვიმეში ოთხი, 20-25 მეტრი სიგრძის განშტოებები გამოიყოფა, რომელთა ჯამური სიგრძე 105 მ-ს აღწევს.

პატარა გარამის ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. აფხაზურას აუზი, ადგ. რაჩ-

ხას ტერიტორიაზე, ს. ლეცავეს ჩრდ-ით 3 კმ-ზე, ზ. დ. 650 (130) მ სიმაღლეზე. სიღრმე 38 მ-ს აღწევს.

პატარა უფლისწული (Маленький принц) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ორთაბალაგანის ცენტრალურ ნაწილში, მწვ. არაბიკას დას-ით 3,5 კმ-ზე, ზ. დ. 2290 მ სიმაღლეზე. შახტი 60 მ სიღრმეზე ნაზვავით იქოლება.

პატარა სადათვიაკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ნიგოზეთის ტერიტორიაზე, მდ. საძალეხევის აუზი, ადგ. კლდისწყაროსთან, ზ. დ. 720 (20) მ სიმაღლეზე. დახრილფსკერიანი, გამჭოლი გვირაბი კარსტული ხიდების სისტემით არის წარმოდგენილი. მღვიმის სიგრძე 420 მ-ია.



პატარა სანალიკის უფსკრული – ამბროლაურის მუნიციპ-ი, რაჭის ქედი, ადგ. პატარა სანალიკეზე, ზ. დ. 1580 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი იხსნება ძაბრის (გარშემონერილობა 15x8 მ) ფსკერზე. ზედაპირიდან მე-12 მ-ზე იგი 3,5-2,5 მ-დე ვიწროვდება, სიღრმეში კი კვლავ ფართოვდება. უფსკრულის სიღრმე 90 მ-ს აღწევს.

პერსპექტიული (დიდვაკის) უფსკრული – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის მთის სამხრ.-დას-ით 0,5 კმ-ზე, მდ. ჟოეკვარას აუზში, გელგელუკის დასახლების აღმ-ით 4,5 კმ-ზე, ზ. დ. 2300 მ სიმაღლეზე. სიღრმე 58 მ-ს აღწევს.

„პეტროვსკაია სლობოდა“ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ჩრდ-ით, მჭიშთის დას. რაიონში, ტყით დაფარული კარსტული ძაბრის ზედა კალთაზე, ზ. დ. 760 მ სიმაღლეზე. შახტში მიღწეული სიღრმე 70 მ-ს შეადგენს.

პივნიჩკა (Пивничка, Piwniczca) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ტროგულ ხეობაში, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 170 მ-ს აღემატე-ბა.

პილუგის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. ბატახის მიდამოებში, მწვ. ბატახის (2024,9 მ) ჩრდ.-აღმ-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 1700 მ სიმაღლეზე. შახტი 140 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

პიონერული უფსკრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობის დას. ნაწილი, მწვ. ნაფრას სამხრ.-დასით 4 კმ-ზე, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით 4 კმ-ზე, ზ. დ. 1500 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 815 მ, სიგრძე 1700 მ-ს შეადგენს.

პიპოჩკინის შახტი (Пипочкина) – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2115 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 52 მ, ჯამური სიგრძე 80 მ შეადგენს.



პირაღიაკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ბერეთისა, მდ. ახაშმულას აუზი (მდ. დუმალას მარჯვ. შენაკადი), ჭიათურიდან სამხრ.-აღმ-ით 15 კმ-ზე. მღვიმე იწყება 30 მ სიმაღლის ფრიალო კლდის ძირას, ზ. დ. 920 (100) მ სიმაღლეზე. მღვიმეს სხვადასხვა მიმართულების ექვსი განშტოება გააჩნია, რომელთა ჯამური სიგრძე 200 მ-ს აღწევს.

პირღიას მღვიმე – იხ. ხვამლის II მღვიმე.

პკინას შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის უკიდურესი ჩრდ. ნაწილი, პანტიუხინის უფსკრულის ჩრდ.-დას-ით 0,9 კმ-ზე, ზ. დ. 1725 მ სიმაღლეზე. შახტი 90 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა. გაჭიმულობა 120 მ-ს შეადგენს.

პოდუტიუჟნაია (Подутюжная) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ხირკას, ზონტისა და "უტიუგის" მწვერვალებს შორის, ე. წ. სამკუთხედში, ზ. დ. 2365 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 140 მ-ს შეადგენს.

პოლტავის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, „სამშესასვლელიანი" მღვიმის სამხრ-ით 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 520 მ სიმაღლეზე. წინა ნაწილში ფსკერის სიგანეზე მოზრდილი ტბა მდებარეობს, რომლის მიღმა მღვიმე 40 მ სიგრძემდე ვრცელდება და გაუვალი ნაპრალებით იხშობა.

პოლტავის ნყლიანი მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, პოლტავის მღვიმის სამხრ-ით 0,25 კმ-ზე, ზ. დ. 500 მ სიმაღლეზე. შესასვლელიდან 150-ე მეტრზე ძირითადი დერეფანი გაუვალი ნაპრალით იხშობა.

პორფირიტული (ცუცხვათის IX) მღვიმე – ტყიბულის მუნიციპ-ი, ს. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. ჭიშურას აუზი, ზ. დ. 330 (60) მ სიმაღლეზე. 5 მ სიგრძის სუბჰორიზონტალური აღმავალი მღვიმე. ცუცხვათის მღვიმოვანის X სართული.

პოხერა – იხ. ციგწყალას II მღვიმე.

პრომეთეს მღვიმე – იხ. ნყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმე.

პროტოსნოვის ჩანაქცევი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის მასივი, C-34 ჭის სამხრ-ით 0,2 კმ-ზე. შახტის საწყისი მონაკვეთი 18 მ სიღრმეზე ვრცელ (15x10 მ) დარბაზს ებმის, რომლის ფსკერი გიგანტური ლოდებით არის მოფენილი.

PL-1 (Польская группа) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მწვ. ზონტის დას-ით, ადგ. ჭამხონას მიდამოებში, ზ. დ. 2300 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 40 მ-ია.

П (П) (Перовский клуб туристов)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ფლატეების თავზე, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. სიღრმე 57 მ.

П (26) (Перовский клуб туристов)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქე-

დის სამხრ. ფერდობი, მჭიშთას ვოკლუზების ჩრდ-ით (ტყის ზონაში), ზ. დ. 950 მ სიმაღლეზე. შახტი 60 მ სიღრმეზე პონორით იხშობა.

П/I-7 (Перовский клуб туристов)– გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ადგ. ჭამხონასთან, ზ. დ. 2300 მ სიმაღლეზე. შახტი ჭების სერიებისა და ვიწრო გასასვლელების მონაცვლეობით 427 მ სიღრმემდე ვრცელდება.

უ

უემჩუკინა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ბერჭილის ქედის ჩრდ. ციცაბო ფერდობზე, ორთაბალაგანის ტროგული ხეობის ზედა ნაწილში, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 160 მ-ია.

უეოფსეს მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მდ. უეოფსეს აუზი, ს. ბაღნარიდან ჩრდ.-დას-ით 0,5 კმ-ზე, ზ.დ. 1750 მ სიმაღლეზე. თარაზული მღვიმის სიგრძე 45 მეტრს შეადგენს.

უოგას შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ჩიფშირის უფსკრულის ჩრდ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. დახრილი დერეფანი 110 მ სიღრმეზე მომცრო დარბაზს ებმის, რომლის ფსკერი ნაზვავი ლოდნარით არის მოფენილი. შახტის ჯამური სიგრძე 350 მ-ს აღწევს.

უოეკვარას მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. უოეკვარას აუზი, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, რკინიგზის სატრანსპორტო გვირაბის 132-ე კმ-ზე. სიგრძე 23 მ.

უოეკვარას შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, მდ. უოეკვარას აუზი, ადგ. ჭამხონას ჩრდ.-აღმ-ით 4 კმ-ზე, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. 25 მ სიღრმეზე შახტი 30 მ სიგრძის გუმბათისებურ დარბაზს ებმის.

რ

რაჩხის მღვიმე-ესტაველა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. რაჩხას აუზი, ხეობის მარცხ. ფერდობზე, ს. ბალდიდან ჩრდ-ით 10 კმ-ზე, ზ. დ. 750 (170) მ სიმაღლეზე. მღვიმე გამოკვლეულია 45 მ სიგრძემდე.

რაჩხის I მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. რაჩხას აუზი, ადგ. რაჩხა, ს. ბალდიდან ჩრდ-ით 15 კმ-ზე, ზ. დ. 750 (25) მ სიმაღლეზე. ძნელად მისადგომი მღვიმე. მასში გამდინარე ნაკადი (წყლის ხარჯი ~100 ლ/წმ) შესასვლელიდან 41-ე მეტრზე 2 მ სიღრმის სიფონური ტბით მთავრდება, რომლის მიღმა უცნობი მიწისქვეშა სიცარიელის არსებობაა მოსალოდნელი.

რაჩხის II მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. რაჩხას აუზი, ადგ. რაჩხა, ს. ბალდიდან ჩრდ-ით 15 კმ-ზე, ზ. დ. 750 (50) მ სიმაღლეზე. ძნელად მისადგომი მღვიმის ჯამური სიგრძე 50 მ-ს შეადგენს.

რაჭა 2001-ის მღვიმე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, რაჭის კირქვული მასივი, ცხრაჯვარის მთის ჩრდ-ით

1,8 კმ-ზე, წიწვოვან ტყეში, ჩაქცევითი ძაბრის სამხრ.-დას. ფერდობზე. მღვიმის აგეგმილი მონაკვეთების სიგრძე 1590 მეტრია.

რგანისკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დიდი რგანის ჩრდ.-აღმ-ით 1-1,2 კმ-ზე, მდ. ჭერულას (რგანისღელე) აუზი, ზ. დ. 740 (85) მ სიმაღლეზე. მღვიმის ძირითადი დერეფანი ორ განშტოებას ივითარებს, რომელთა ჯამური სიგრძე 210 მ-ს აღწევს.



რეკევისას მღვიმე –– ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სვერის სამხრ-ით 0,8 კმ-ზე, მდ. რეკევისას სათავეში, ერთ-ერთ ფერდობზე. მღვიმის სიგრძე 43 მ-ს შეადგენს.

„რელსები“ – იხ. ნაპრალური სიფონი.

რეშევიე-აკუღრას I შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მდ. რეშევიეს (ბზიფის მარცხ. შენაკადი) ზემო წელში, მწვ. აკუღრას ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 2160 მ სიმაღლეზე. შახტი 52 მ სიღრმემდე ვრცელდება.

რეშევიე-აკუღრას II შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მდ. რეშევიეს (ბზიფის მარცხ. შენაკადი) ზემო წელში, მწვ. აკუღრას ჩრდ-ით 1 კმ-ზე, I შახტის აღმ-ით 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 2165 მ სიმაღლეზე. შახტი 55 მ სიღრმემდე ვრცელდება.

რეხის შახტი – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 7 კმ-ზე, ზ. დ. 975 (695) მ სიმაღლეზე. შახტი საფეხურებრივი გავრცელების შემდეგ 25 მ სიღრმეზე მოზრდილ დარბაზს (18x10x10 მ) ივითარებს და 57-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.

რეხის I ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 7-7,5 კმ-ზე, ზ. დ. 990 (710) მ სიმაღლეზე. ცილინდრული ფორმის 12 მ სიღრმის ჭა.

რეხის II ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 7-7,5 კმ-ზე, რეხის I ჭის მახლობლად, ზ. დ. 990 (710) მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 14 მ-ს შეადგენს.

რეხის III ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 7-7,5 კმ-ზე, რეხის II ჭის მახლობლად, ზ. დ. 990 (710) მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 8 მ-ს აღწევს.

რეხის IV ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 7-7,5 კმ-ზე, რეხის III ჭის მახლობლად, ზ. დ. 995 (715) მ სიმაღლეზე. ნაკვეთილი კონუსის ფორმის 8 მ სიღრმის ჭა.

რიონჯესის მღვიმე – იხ. საფიჩხიის მღვიმე.

რიხვას I ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) მასივი. ჭა იწყება ვიწრო ჩასასვლელით, რომელიც სიღრმეში კიდევ უფრო ვიწროვდება და 26-ე მეტრზე ლოდნარით იხშობა.

რიხვას II ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) მასივი. კონუსისებური, 7 მ სიღრმის სიღრუე.

რიხვას III ჭა – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) მასივი. თომრისებური ფორმის სიღრუე 12 მ სიღრმემდე ვრცელდება.

რიხვას შახტი — გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) მასივი, ზ. დ. 2135 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 43 მ, ხოლო ჯამური სიგრძე 180 მ შეადგენს.

რუსალოჩკა (Русалочка, П3-1, К-60) – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის აღმ-თი ნაწილი, ე. წ. სამკუთხედში, ზ. დ. 2050 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 260 მ-ს აღწევს.

ს

საბანაკოს შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ.-დას. ნაწილი, პანტიუხინის უფსკრულის სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 1975 მ სიმაღლეზე. შახტის ჩასასვლელი (24x3 მ) კარსტული ძაბრის მკვეთრად დახრილი ფერდებისა (20 მ სიღრმეზე) და ვიწრო (2 მ) ვერტიკალური მონაკვეთის მიღმა 40 მ სიღრმემდე ეშვება. აქედან რთული ვერტიკალური გასასვლელების მონაცვლეობით შახტი 80 მ სიღრმემდე ვრცელდება.

საბიკისწყაროს მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ნიგოზეთი, მდ. საძალეხევის აუზი. ზ. დ. 640 (50) მ სიმაღლეზე. ვერტიკალურ ნაპრალში განვითარებული ჰორიზონტალური სიღრუე 135 მ-ზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.



საგაზაფხულოს შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობი, მწვ. პიპშირას სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1640 მ სიმაღლეზე. უფსკრული 550 მ სიღრმემდე ვრცელდება, გაჭიმულობა 1230 მ-ს შეადგენს.

საგვარჯილეს მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. ძევრის ჩრდ.-აღმ-ით 0,5 კმ-ზე, მდ. შავიწყლის ხეობაში, ზ. დ. 220 (18) მ სიმაღლეზე. მღვიმე ქვის ხანის ადამიანის საცხოვრებელს წარმოადგენს. აღმოჩენილია ქვის ცული, საჭრეთელები, სატეხები, მახათები, კაჟის ისრის პირები და სხვ.

საგუნიოს ზედა მღვიმე – სენაკის მუნიციპ-ი, უნაგირას მასივთა ჯგუფი, ს. საგუნიო, ქვედა მღვიმის სამხრ-ით 30 მ-ზე, ნათლისმცემლის ხევის მარცხ. მხარეზე, ზ. დ. 290 (15) მ სიმაღლეზე. სიგრძე 20 მ.

საგუნიოს ქვედა მღვიმე – სენაკის მუნიციპ-ი, ს. საგუნიო, უნაგირას მასივზე, კვარჯღალის მღვიმის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ნათლისმცემლის მონასტრის გვერდით ჩამავალი ხევის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 280 (4) მ სიმაღლეზე. სიგრძე 25 მ-ს შეადგენს.

სადათვიაკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ნიგოზეთის ტერიტორიაზე, მდ. საძალეხევის მარცხ. ფერდობი, ზ. დ. 68 (37) მ სიმაღლეზე. 296 მ სიგრძის ჰორიზონტალური გვირაბის ტიპის სიღრუე.

საეკლესიოს I ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 5-6 კმ-ზე, ზ. დ. 995 (715) მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 10 მ-ია.

საეკლესიოს II ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის მასივი, ტაბაკელას ქედის თხემური ნაწილი, მდ. ინჩხურის აუზი, ს. ინჩხურიდან ჩრდ-ით 5-6 კმ-ზე, საეკლესიოს I ჭის მახლობლად, ზ. დ. 985 (705) მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 50 მ-ს აღწევს.

სავეკუოს მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, ს. სავეკუოს მიდამოებში, მდ. ზანას (მდ. ხობისწყლის მარცხ. შენაკადის) მარცხ. მხარეს, ზ. დ. 230 (70) მ სიმაღლეზე. აღმავალი, დახშული მღვიმე ინყება ფართო შესასვლელი დარბაზით (სიგრძე 25 მ, სიგანე 20 მ და სიმაღლე 4 მ). გვირაბს აგრძელებს ვიწრო (0,5-1 მ) და ღრმა (2-3 მ) დატერასებული კანიონისებური დერეფანი, რომელიც 275 მ-დე გრძელდება.

სათაფლიის I მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისის ჩრდ-ით 7 კმ-ზე, სამგურალის სერზე, სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე, ზ. დ. 360 მ სიმაღლეზე. კეთილმოწყობილია მისი ნინა 100 მ-იანი მონაკვეთი. მღვიმეს უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. მისი პოპულარობა დღითიდღე მატულობს. შესასვლელიდან მე-100 მეტრზე მღვიმის ულამაზესი „გუმბათოვანი დარბაზია" (სიმაღლე 10 მ, სიგანე 12 მ) წარმოდგენილი. 150-ე მეტრზე კი „ნაღვენთების სასაფლაო" იხსნება. მღვიმეს გააჩნია განშტოებები, სადაც გადაადგილება ფორთხვით არის შესაძლებელი. ჯამური სიგრძე 900 მ-ს შეადგენს.



სათაფლიის მღვიმის გიგანტური სტალაგმიტი

სათაფლიის II (გეოგრაფიის ინსტიტუტის) მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისის ჩრდ.-აღმ-ით 7 კმ-ზე, სამგურალის სერზე, სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე, ზ. დ. 380 მ სიმაღლეზე. შრეთაშორისი დაღმავალი მღვიმე. ფსკერი დასერილია კარული ზედაპირებით, რაც გადაადგილებას მნიშვნელოვნად აფერხებს. მღვიმეში რამდენიმე მოზრდილი დარბაზია წარმოდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია „ლოდებისა" და „გიგანტური"დარბაზები. ამ უკანასკნელის სიგრძე 60 მ, სიმაღლე კი 10 მ აღემატება. მღვიმის გამოკვლეული მონაკვეთების ჯამური სიგრძე 450 მ-ია.



სათაფლიის III მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისის ჩრდ.-დასით 7 კმ-ზე, სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე, ზ. დ. 405 მ სიმაღლეზე. საკუთრივ მღვიმე წარმოადგენს დახრილფსკერიან მოზრდილ დარბაზს (სიმაღლე 15 მ, სიგანე 16 მ), რომელსაც აღმ-დან ებმის ორსართულიანი მოკლე გვირაბი და 55-ე მეტრზე ნაზავით იხშობა.

სათაფლიის IV (გზისპირა) მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისის ჩრდ.-დას-ით 6 კმ-ზე, სამგურალის სერზე, სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე, სათაფლიის მღვიმისაკენ მიმავალი გზის პირას, ზ. დ. 305 მ სიმაღლეზე. დაღმავალი მღვიმე იწყება ვიწრო შესასვლელით, რომელიც იქვე უკავშირდება წრიული ფორმის დარბაზს (სიმაღლე 10 მ, სიგანე 12 მ). აქედან გამოეყოფა ძალზე დაბალი დაღმავალი განშტოებები, რომლებშიც მოძრაობა მხოლოდ ფორთხვითაა შესაძლებელი. მღვიმის სიღრმე 40 მ, სიგრძე 100 მ აღწევს.

სათაფლიის მღვიმის გამოსასვლელი – იხ. ოღასყურის მღვიმე.

სათაფლიის ჭა – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ბანოჯიდან 1,5 კმ-ზე, ბანოჯის ყოფილი მეცხოველეობის ფერმების მახლობლად, ზ. დ. 305 მ სიმაღლეზე. 1 მ დიამეტრის მქონე ვიწროყელიანი ჭა 15 მ სიღრმემდე ეშვება.



სათევზიას მღვიმე – ხონის მუნიციპ-ი, ს. ძეძილეთის ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყლის აუზი, ხეობის მარცხ. მხარეზე, ზ. დ. 215 მ სიმაღლეზე. პერიოდულ წყლიანი მღვიმის ქვედა სართული დამარხულია მდ. ცხენისწყლის აკუმულაციით შექმნილი ალუვიონით. საწყისი მონაკვეთი სამხრ.-აღმ-კენაა

მიმართული, რომელიც 120 მ-ის შემდეგ მკვეთრად უხვევს აღმ-კენ. შუა ნაწილში 12 მ სიღრმის ჭაა წარმოდგენილი. მომდევნო 100 მ სიგრძის დერეფანი გაუვალი ნაპრალით იხშობა. მღვიმის სიგრძე 250 მ-ს აღწევს.

სათოვლე (სათირო) ჭა – ნალენჯიხის მუნიციპ-ი, ყვირას მასივის აღმ. ნაწილის ტყიან ზოლში, მდ. მოროჟას აუზი, ზ. დ. 1740 მ სიმაღლეზე. 12 მ სიღრმის შვეულკედლებიანი ჭა თოვლის მასითაა ამოქოლილი.

საიდის მღვიმე – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივი, მდ. ოჩხომურის ჩანჩქერის ახლოს, მდინარის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 2520 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 20 მ-ს აღწევს.

„საინტერესო“– გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის მასივი, ახტიარის უფსკრულის დას-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. შახტი 78 მ სიღრმემდე ეშვება, გაჭიმულობა 250 მ-ს შეადგენს.

„საიუბილეო“ – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის მასივის ჩრდ.-აღმ-ით მდებარე კარულ ველზე, მდ. გეგას აუზში, ახტიარის უფსკრულის სამხრ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 2520 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 255 მ, ხოლო გაჭიმულობა 640 მ-ს აღწევს.

„საკალმახე“ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ს. ოთხარის ჩრდ-ით 5 კმ-ზე, სტუდენტურის შახტის მახლობლად, ზ. დ. 1840 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 740 მ-ს აღწევს. 180 მ სიღრმეზე ნაპოვნია ღამურების ნაშთები. გაჭიმულობა 1500 მ-ს შეადგენს.

საკაჟიას (ვირხოვის) მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, მდ. წყალწითელის ხეობის მარცხ. ფერდობზე, მონაშეთის მონასტრიდან სამხრ.-დას-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 150 (70) მ სიმაღლეზე, N.42°16.795, E.042°45.435. მღვიმე მდიდარია არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური აღმოჩენებით. საკაჟიაში პირველად დადასტურდა პალეოლითის არსებობა კავკასიაში.



საკაჟიას მღვიმის შესასვლელი

საკიშორეს მღვიმის სიფონური ტბის „მოზაიკით“ მოხატული ფსკერი

საკიშორეს მღვიმე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, ს. ზემო თლუღთან, სანალიკის მთის ჩრდ. კალთაზე, მდ. გორისწყლის მარცხ. მხარეს, ადგ. ჩოლოგას ტერიტორიაზე, ზ. დ. 1200 მ სიმაღლეზე. მღვიმეში სამი სიფონური ტბაა (20, 25 და 60 მ სიგრძის), რომელთა მიღმა მღვიმე 4500 მ-დე გრძელდება.



სამგლეკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დარკვეთის მიდამოებში, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ღია კარიერთან, ზ. დ. 445 (38) მ სიმაღლეზე. მღვიმე ორი დიდი დარბაზისაგან შედგება: ერთის სიგრძე – 10 მ, მეორის კი 70 მ აღწევს. ჯამური სიგრძე 80 მ-ს შეადგენს.



სამელეკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დარკვეთი, მდ. ჯრუჭულას ხეობის მარჯვ. ფერდობზე, სამგლეკლდის მღვიმის ახლოს, ზ. დ. 490 (75) მ სიმაღლეზე. 20 მ სიგრძის ღია ტიპის კლდოვანი ფარდული.

სამერცხლეკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ზოდის სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 430 (12) მ სიმაღლეზე. ჰორიზონტულფსკერიანი დერეფანი ვიწრო და დარბაზული გაფართოებების მონაცვლეობით 425 მ-დე გრძელდება.

სამერცხლეკლდის მღვიმის შესასვლელი (ხედი შიგნიდან)

მოპოვებულია არქეოლოგიური ნაშთები. მღვიმე ზედაპალეოლითის (ენეოლითის) ეპოქაში სადგომად ჰქონდათ გამოყენებული.

სამერცხლეკლდის II მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ზოდის სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, სამერ-

ცხლეკლდის I მღვიმიდან 50 მეტრზე. ზ. დ. 440 (32) მ სიმაღლეზე. სიგრძე 42 მ.

„სამეული“ (Тройка, п.003) გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ხირკას, ზონტისა და "უტიუგის" მწვერვალებს შორის, ე. წ. „სამკუთხედში", ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. აგეგმილი მონაკვეთების ჯამური სიღრმე 313 მ-ს შეადგენს.

სამკაცას მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. დარკვეთის ტერიორიაზე, მდ. ყვირილას მარჯვ. ფერდობზე ზ. დ. 435 (75) მ სიმაღლეზე. ჰორიზონტული, 12 მ სიგრძის კარსტული გვირაბი.

სამპირის მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ცხუნკურის მიდამოებში, მდ. სემისა და ცხუნკურელას წყალგამყოფზე, აბჟინას სერის ჩრდ. კალთის თხემურ ნაწილში, ზ.დ. 150 მ სიმაღლეზე. სიგრძე 62 მ.



სამშესასველიანი მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, ხეობის მარცხ. მხარეს, „თეთრთოვლას“ აღმ.-ით. 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 500 მ სიმაღლეზე. მღვიმეს სამი შესასვლელი გააჩნია, რომლებიც ერთმანეთს მღვიმის შუა ნაწილში უერთდებიან და ბოლოში მოზრდილი დარბაზით (10x5x5 მ) მთავრდება. ჯამური სიგრძე 95 მ-ს შეადგენს.

სამჭინკას მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ვარდიგორას მიდამოებში, მდ. ელიბოკროსწყლის აუზი, ზ. დ. 750 (70) მ სიმაღლეზე. სუბჰორიზონტალური გვირაბის ტიპის სიღრუე, ფსკერზე განვითარებული 4 მ სიღრმის კანიონისებური ხეობით 320 მდე გრძელდება.



სამჭინკიას მღვიმე – ჭიათურის რაიონი, ს. გუნდაეთი, მდ. საძალეხევის აუზი, ზ. დ. 330 მ სიმაღლეზე. ჰორიზონტული, დახშული გვირაბების სისტემა სამი მეანდრირებული განშტოებით 330 მ-დე გრძელდება.

სამჭინკიას მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. თუზის მიდამოებში, მდ. აჯის აუზი, ზ. დ. 480 (5) მ სიმაღლეზე. მღვიმეში რამდენიმე სიფონური ტბაა, მათ შორის დაკიდული (განშტოებებში). ჯამური სიღრმე 30 მ, ხოლო სიგრძე 2425 მ-ს აღწევს.

სანდრიფშის (ჟეოფსეს) მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. სანდრიფშის (ჟეოფსეს) აუზი, მდინარის მარცხ. ნაპირზე, ს. ბაღნარის ჩრდ-ით 4-4,5 კმ-ზე, ზ. დ. 750 (60-70) მ სიმაღლეზე. სიგრძე 45 მ.

სანქტ-პეტერბურგის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ხიფსთას კირქვული მასივი, აკულრას მთის სამხრ. ფერდობი, მდ. აკიბის მარცხ. შენაკადის ზემო წელში, ზ. დ. 1850 მ სიმაღლეზე. მღვიმე 70-ე მეტრზე სიფონური ტბით იხშობა, გაჭიმულობა 1920 მ-ს შეადგენს.

საპრიზო შახტი (Призовая) – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2035 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 60 მ, ჯამური სიგრძე 130 მ შეადგენს.

სარაქონის მღვიმე – ჩხოროწყუს რაიონი, ს. სარაქონიდან 1 კმ – ზე, ცენტრალური ოდიშის პლატო, მდ. ჭანისწყლის აუზი, ზ. დ. 70 (30) მ სიმაღლეზე. სიგრძე 25 მ. შედგება ორი მოზრდილი დარბაზისაგან (8x8x8 მ; და 8x6x5 მ), რომლებიც 2 მ-იანი საფეხურით უკავშირდებიან ერთმანეთს.

სარეკის I მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სარეკის მიდამოებში, მდ. ჯრუჭულას მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 370 მ სიმაღლეზე. სიგრძე 70 მ.

სარეკის II მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სარეკის მიდამოებში, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 400 (1,5) მ სიმაღლეზე. სუბჰორიზონტული გვირაბის ტიპის სიღრუე. სიგრძე 15 მ.

სარი-ლეგეტის მეზოლითური მღვიმური სადგომი – ჯავის მუნიციპ-ი, მდ. ჯეჯორას მარცხ. შენაკადის მდ. ღრამულას ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ქვემო რაჭის მთათაშორისი ღრმულის აღმ-ით. ზ. დ. 1540 მ სიმაღლეზე. მოპოვებულია მდიდარი არქეოლოგიური მასალა, მათ შორის 450-ზე მეტი ძუძუმწოვართა (ხერხემლიანთა) ძვლები და 20-ზე მეტი ახალი სახეობის მღრღნელების ნარჩენები.

სარმა – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ხირკას, ზონტისა და „უტიუგის“ მწვერვალებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, ე. წ. „სამკუთხედში“, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. უფსკრულის სიღრმე 260 მ შეადგენდა. შემდგომში განხორციელდა 650 მ სიღრმეზე ჩაღწევა, რასაც მოჰყვა 250 მ-იანი გიგანტური ჭა. 2001 წლის აგვისტოში მიღწეული იქნა 1100 მეტრიანი ზღვარი, ცოტა მოგვიანებით დაძლეულ იქნა 1530 მ-იანი მონაკვეთი. სადღეისოდ მიღწეული სიღრმით (1830 მ) „სარმას“ მსოფლიოს უღრმესი კარსტული უფსკრულების სიაში №2 ადგილი უკავია. დღეისათვის უფსკრულის ჯამური სიგრძე 14 775 მ-ს შეადგენს

სარყუმალის მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქალაქის გარეუბნიდან აღმ-ით 0,1 კმ-ში, ზ. დ. 125 მ სიმაღლეზე. მღვიმე კეთილმოწყობილი იყო ტურისტთა მისაღებად, თუმცა ფუნქციონირება მალევე შეწყვიტა. მღვიმეში მრავალფეროვანი ნაღვენთი ფორმებია წარმოდგენილი. მღვიმის სიგრძე 105 მ-ია.



სარჩომისკლდის I მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. მერევის მიდამოები, მდ. ყვირილას მარცხ. ფერდობზე. სიგრძე 28 მ.

სარჩომისკლდის II მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. მერევის მიდამოები, მდ. ყვირილას მარცხ. ფერდობზე. სუბჰორიზონტალური დახშული მღვიმის სიგრძე 36 მ-ს აღწევს.

სარჩომისკლდის III მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. მერევის მი-

დამოები, მდ. ყვირილას მარცხ. ფერდობზე. სიგრძე 48 მ.

სატოგაევის მღვიმე – ჭიათურის მიდამოებში, მდ. ყვირილას მარცხ. ფერდობზე, კლდოვან ფლატეზე. მღვიმის სიგრძე 22 მეტრს შეადგენს.

სატყეოს შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, ადგ. ხიფსთას მიდამოებში, ტყის ზოლში, უსახელო მწვერვალის (1599,5 მ) დას-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1725 მ სიმაღლეზე. შახტი მოკლე საფეხურებით 90 მ-ის სიღრმემდე ვრცელდება.

სატყეოს ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, იზაბელას შახტის აღმ-ით. 0,5 კმ-ზე. ჭის სიღრმე 50 მ-ს აღწევს.

საფიჩხიის (რიონჰესის) მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ქუთაისიდან ჩრდ.-აღმ-ით, მდ. წყალნითელას ხეობის მარჯვ. ფერდობზე ზ. დ. 70 (20)მ სიმაღლეზე. მღვიმე დაკვირვებისათვის მიუწვდომელია, შესასვლელი წყლითაა დაფარული. სიგრძე 750 მ-ს შეადგენს.

საქაჯეკარის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ბუნიკაური, მდ. თაბაგრებისწყლის ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 670 (35) მ სიმაღლეზე. მღვიმე 65-ე მეტრზე ხვრელისებურ ნაპრალში გადადის და 75-ე მეტრზე ნაზავაით იქოლება.

საქაჯიას მღვიმე – წყალტუბოს რაიონი, ს. ყუმისთავიდან ჩრდ.-აღმ-ით, დიდღელის მღვიმის სამხრ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 450 (90) მ სიმაღლეზე. სიგრძე 200 მ.

საქაჯიის მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. ჩერის აუზი, ს. მესამე ბალდის წისქვილიდან ჩრდ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 320 (10) მ სიმაღლეზე. სიგრძე 45მ.

საყინულეს (ნიკორწმინდის) მღვიმის ყინულის ლოდთან

საყინულეს (ნიკორწმინდის) მღვიმე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, ს. ნიკორწმინდის სამხრ.-დას-ით 1,5-2 კმ-ზე, ტყიბულიდან მე-17 კმ-ზე, ზ. დ. 1200 მ სიმაღლეზე. შესასვლელი (60x10 მ) იხსნება მოზრდილი ტყიანი ძაბრის კლდოვან ფერდობზე. მღვიმის ბოლოში შემორჩენილია ყინულის ლოდები. ზამთრის ცივი ჰაერი ნაპრალებში ნაწვეთ წყალს ადვილად ჰყინავს და ყინული ხშირად შემოდგომამდეც კი ინახება. მღვიმის სიგრძე 100 მ-ია.

საჩიქვანოს შახტი – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ადგ. საჩიქვანოს დას. კიდესთან, მდ. რაჩხას აუზი, ს. ბალდადან ჩრდ.-აღმ-ით 10-12 კმ-ზე, ზ. დ. 900 (450) მ სიმაღლეზე. სიღრმე 80-100 მ-ს შეადგენს.

საჩიქვანოს ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, ადგ. საჩიქვანოს დას. კიდესთან, მდ. რაჩხას აუზი, ს. ბალდადან ჩრდ.-აღმ-ით 10-12 კმ-ზე, ზ. დ. 900 (450) მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 37 მ-ს აღწევს.

საცივის მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მაიდნის პლატო, საწერექო-ოფიცარის ქედის ჩრდ. ფერდობი, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 75 მ-ია.

საცივის ჭა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მაიდნის პლატოს შუა ნაწილში, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 20 მ-ია.

საძროხიას მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. გუნდაეთი, მდ. საძალეხევის აუზი, ზ. დ. 720 (75) მ სიმაღლეზე. ორშესასვლელიანი დახშული გვირაბი, ფსკერზე კარსტული ორმოებით და ძაბრებით. მღვიმეს ხშირად თავს აფარებს შინაური პირუტყვი. სიგრძე 75 მ-ს აღწევს.

საწალიკის ჭა – ამბროლაურის მუნიციპ-ი, რაჭის ქედის სამხრ. ფერდობი, მწვ. საწალიკედან სამხრ.-დასით 0,25 კმ-ზე, ზ. დ. 1790 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 7 მ-ია.

საწერექოს ჭა – მარტვილისა და ხოწის რაიონების საზღვარზე, ასხის კირქვული მასივი, საწერექოს სერზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე, ჭის სიღრმე 57 მ-ს შეადგენს.

საწვრთნელი I ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ახალი ათონის რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 600 მ სიმაღლეზე. სიღრმე 38 მ-ს აღწევს.

საწვრთნელი II ჭა– გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ახალი ათონის რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 680 მ სიმაღლეზე. შახტი 27-ე მ-ზე გაუვალი ნაპრალებით იხშობა.

საწისქვილოს მღვიმე – ხონის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, გოლეინას მთის სამხ. ფერდობზე, მდ. ოკაცეს აუზი, ს. ზედა კინჩხის მიდამოებში. სუბჰორიზონტალური მღვიმის სიგრძე 60 მ-ს აღწევს.

საწკრიალოს (ცერცვაძის) ჭა – ამბროლაურის მუნიციპ-ი, რაჭის ქედის სამხრ. ფერდობი, ადგ. საწალიკეზე, ე.წ. „საჯაფარიო-ბურღნალას“ მიდამოებში, ვაჭევის მეცხოველეობის ფერმების სამხრ. -აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1495 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 20 მ-ია.

საწულეისკიროს მღვიმე – სენაკის მუნიციპ-ი, ეკის მთის სამხრ.-დას. ნაწილში, უნაგირას მასივთა ჯგუფი, მდ. ციკის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 100 (70) მ სიმაღლეზე. სიგრძე 20 მ.

საწურბლიას მღვიმე – წყალტუბოს რაიონი, ს. ყუმისთავთან, მდ. სემის მარცხ. ნაპირზე, ფერმის მახლობლად, ზ. დ. 305 მ სიმაღლეზე. შესასვლელის მახლობლად მოპოვებულია ქვისა და კაჟის იარაღები. შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო თავშესაფრად. სიგრძე 125 მ.

საწურბლიას მღვიმე

საწურბლიას შახტი – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ბერეთისა, მდ. ახაშმულას ღელეს მარჯვ. ფერდობზე, პირაღიაკლდის მღვიმის აღმ-ით. 1 კმ-ზე, ზ. დ. 895 (55) მ სიმაღლეზე. მღვიმე ვერტიკალური საფეხურებისა და სუბჰორიზონტული გვირაბის მონაცვლეობით 250 მ სიგრძემდე ვრცელდება.

სემის მღვიმე – წყალტუბოს მუნიციპ-ი, ს. ცხუნკურის მიდამოებში, მდ. სემის მარჯვ. ნაპირზე, ადგ.„ ქვახიდთან", ზ. დ. 135 მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 300 მ-ს აღწევს.

სვანთა სავანის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. ჯამფალის ხეობაში. 10 მ სიგრძის, პირველყოფილ ადამიანთა სადგომი.

სვერის ქვაბკარის მღვიმე – იხ. კოტიასკლდე.

სვერის ჭა – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. სვერის ტერიტორიაზე, სვერის კარსტული ტბის მიდამოებში, მდ. რეკევისას აუზი (მდ. ყვირილას მარცხ. შენაკადი), ზ. დ. 540 მ სიმაღლეზე. ვერტიკალურ ნაპრალში განვითარებული 7 მ სიღრმის კარსტული ჭა.

სიმონ კანანელის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხის აუზი, ფსირცხის ვოკლუზებთან, ზ. დ. 50 მ სიმაღლეზე. აღმავალი, დახშული, 27 მ სიგრძის სიღრუე, რომელიც რელიგიური მიზნებისათვის ხელოვნურად არის გადაკეთებული სამლოცველოდ.

სიმონის ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ს. დურიფშის ტერიტორიაზე, სოფლის ცენტრიდან სამხრ.-დას-ით 0,1 კმ-ზე, მდ. ხიფსთის მარჯვ. ფერდობზე, „სიმონის ბახჩაში", ზ. დ. 200 მ სიმაღლეზე. 40 მ სიღრმე.

„სიურპრიზი" – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის ტერიტორიაზე, ახალი ათონის მღვიმის ზედაპირთან დამაკავშირებელი ხელოვნური სატრანსპორტო გვირაბის ბოლოს, ზ. დ. 200 მ სიმაღლეზე. „სიურპრიზი" გაიხსნა სატრანსპორტო გვირაბის გაჭრის დროს. იგი ფაქტიურად ერთი დიდი დარბაზისაგან შედგება, რომელიც ფსკერზე არსებული სიფონური ტბის საშუალებით კავშირშია ახალი ათონის მღვიმის პირველ დარბაზში (აფხაზეთი) მდებარე „ანატოლის ტბასთან". სიღრმე 26 მ, სიგრძე 320 მ-ს აღწევს.



სკანდეს მღვიმე – თერჯოლის მუნიციპ-ი, ს. სკანდე, მდ. ძუსას მარჯვ. ფერდობზე. მღვიმის სიგრძე 52 მ-ია.

სკოლის მღვიმე – გუდაუთის რაიონი, მდ. ხიფსთას აუზი, დურიფშის პლატოზე. გამჭოლი ტიპის ჰორიზონტალური სიღრუე. სანყისი მო-

ნაკვეთი 10 მეტრიან ჭას წარმოადგენს (10x30 მ). ჭის ფსკერიდან ჩრდ. მიმართულებით დაბალჭერიანი (1-1,5 მ) გვირაბი 120 მ-დე გრძელდება.

სოლკოტას მღვიმე – წყალტუბოს რაიონი, ს. ყუმისთავიდან ჩრდ.-აღმ-ით 1,5 კმ-ზე, მელოურისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს – გზიდან 25-30 მ-ის მოშორებით, ფოთლოვან ტყეში, ზ. დ. 373 (95) მ სიმაღლეზე. მღვიმის სიგრძე 220 მ-ია.

სპორტული შახტი I – გუდაუთის რაიონი, მდ. ხიფსთას აუზი, ს. დურიფშის ტერიტორიაზე, ძიშრას მთისაკენ მიმავალ გზასთან, ელექტროტრანსფორმატორიდან ჩრდ.-დას-ით 300 მეტრზე, ზ. დ. 450 (160) მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი იხსნება 50-80 მ დიამეტრის მქონე კარსტული ძაბრის ფსკერზე. სიღრმე 70 მ, სიგრძე 125 მ.

სპორტული შახტი II – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ეშერის წყალსაქაჩიდან 0,4 კმ-ზე მარცხ. მხარეს, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. შახტი 65-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.



სტახანოვის უფსკრული (Стахановская) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის დას. ფერდობის რაიონში, ბოგუმინის შახტის მახლობლად, ზ. დ. 1500 მ სიმაღლეზე. უფსკრულის ჯამური სიღრმე 108 მ-ს შეადგენს.

„სტუდენტური“ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ს. ოთხარის ჩრდ-ით 5 კმ-ზე, „საკალმახეს“ მახლობლად, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. შახტი 350 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა. მოგვიანებით, აქ ახალი გასასვლელების რთული სისტემა აღმოჩნდა. გაჭიმულობა 800 მ-ს აღწევს.

„სუვენირი“ – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, გამყოფი ქედის მიდამოებში, მეჟენის უფსკრულის ჩასასვლელიდან ჩრდ.-აღმ-ით 0,25 კმ-ზე, ზ. დ. 1855 მ სიმაღლეზე. უფსკრული ღრმა (24, 83, 100 მ) კარსტული ჭების და შახტების მონაცვლეობით 430 მ სიღრმემდე ეშვება, ჯამური სიგრძე 1200 მ-ს შეადგენს.

სუვოროვას შახტი – ასხის კირქვულ მასივზე ჩელიაბინსკელმა სპელეოლოგებმა 280 მ სიღრმემდე ჩააღწიეს.

სუფთა ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ახალი ათონის მღვიმის ჩრდ-ით 11 კმ-ზე, მწვ. გუმიშხას (1800 მ) სამხრ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 1000 მ სიმაღლეზე. ჭა 40 მ სიღრმემდე ვრცელდება და ნაზვავით იქოლება.

სქირლელე – იხ. მშრალღელეს შახტი.

სხვავის ჭა-საყინულე – ამბროლაურის მუნიციპ-ი, ს. სხვავას სამხრ-ით 4 კმ-ზე, ზ. დ. 1310 მ სი-

მაღლეზე. მღვიმეში წარმოდგენილია 0,5 მ დიამეტრის და 15-20 მ სიმაღლის ყინულის კონუსები, 1,5 მ სიმაღლისა და 30 სმ დიამეტრის ყინულის სტალაგმიტები, ყინულის ფირფიტები.

სხჩის – იხ. ციცწყალას I მღვიმე.

სხვავის ჭა-საყინულეს ღია ორმო. ცენტრში შესასვლელი საყინულეში

ტ

ტაგილის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი. სიღრმე 200 მ.

ტაგიჩ-იტარას შახტი გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობი, მწვ. პიპშირას სამხრ.-აღმ-ით 1,0 კმ-ზე, ზ. დ. 1800 მ სიმაღლეზე. უფსკრული 75 მ სიღრმემდე ვრცელდება, გაჭიმულობა 150 მ.

ტარკილის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, დურიფშის პლატო, მდ. გუდაუს აუზი, ს. დურიფშის აღმოსავლეთ ნაწილში, ზ. დ. 215 მ სიმაღლეზე. მღვიმე ვიწრო ხვრელებისა და ლაბირინთული დერეფნების მონაცვლეობით 240 მ-დე გრძელდება.

ტარჩიის მღვიმე – ზუგდიდის მუნიციპ-ი, ს. ჯიხაშკარი, მდ. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადის – ტარჩიას მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 140 (20) მ სიმაღლეზე. მთავარი გვირაბის სიგრძე 25 მ-ს შეადგენს, ჯამური 40 მ-ია.

ტვანაარხუს (კურკურის) მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, დურიფშის პლატო, მდ. გუდაუს აუზი, ს. ტვანაარხუს ტერიტორიაზე, ზ. დ. 250 (6) მ სიმაღლეზე. მღვიმე გამჭოლ მიწისქვეშა გვირაბს წარმოადგენს, რომლის ჭერი ოთხ ადგილას იხსნება. ჯამური სიგრძე 195 მ-ს აღწევს.

ტვანბას შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. ხიფსთას აუზი, დურიფშის პლატოზე, ზ. დ. 150 (30) მ სიმაღლეზე. შახტს ორი ჩასასვლელი გააჩნია (ჩრდ. დიამეტრი 15 მ-ია, სამხრ. – 1,5 მ), რომლებიც 15 მ სიღრმეზე ჰორიზონტულფსკერიან დერეფანს უკავშირდებიან. სიღრმე 15 მ-ს, ჯამური სიგრძე 90 მ-ს აღწევს.

ტვიშის I მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, ხვამლის მასივი, მდ. რიონის აუზი, ს. ტვიშის მიდამოებში. ძნელი მისადგომია, საჭიროა სპელეოლოგიური საჭურველი. ისტორიული დროის ნაგებობა.

ტვიშის II მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, ხვამლის მასივი, მდ. რიონის აუზი, ს. ტვიშის მიდამოებში. ძნელი მისადგომია, საჭიროა სპელეო-

ლოგიური საჭურველი. ისტორიული დროის ნაგებობა.

ტობის I (თურჩუ-ტობას, ონიორეს) მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 5 კმ-ზე. შესასვლელი (12x5მ) ქარაფის გასწვრივ, ზ. დ. 670 (67) მ სიმაღლეზე იხსნება. მღვიმიდან გამომავალი ნაკადი შესასვლელთან ეფექტური ფორმის ჩანჩქერს წარმოშობს, ხოლო მღვიმეში შესასვლელიდან 70-ე მეტრზე 21 მ სიმაღლის ჩანჩქერია წარმოდგენილი. წყლიან დერეფნებში ოთხი სიფონური ტბაა, ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 60 მ-ზე მეტია. მღვიმის ჯამური სიგრძე 750 მ-ს შეადგენს.

ტობის II მღვიმე – იხ. არსენ ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმე.

ტობის III მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 5 კმ-ზე, ზ. დ. 750 (105) მ სიმაღლეზე, სიგრძე 70 მ-ს აღწევს.



ტობის IV მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 5 კმ-ზე, ზ. დ. 750 (85) მ სიმაღლეზე. აღმავალ, ჰორიზონტალურ მღვიმეს გააჩნია სამი განშტოება. ძირითადი დერეფანი კი სამი დარბაზისაგან შედგება. ჯამური სიგრძე 235 მ-ს შეადგენს.

ტობის V მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 750 (8) მ სიმაღლეზე. მღვიმე იწყება წრიული შესასვლელით. შედგება რამდენიმე დარბაზული გაფართოებისაგან. სიგრძე 77 მ.

ტობის VI მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 750 (3) მ სიმაღლეზე. 35 მ სიგრძის ერთიანი დარბაზული გაფართოება.



მდ. ტობას ერთ-ერთი ჩანჩქერი

ტობის VII მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ფლატის გასწვრივ, ტობის III და IV მღვიმეებს შორის, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 750 (85)მ სიმაღლეზე, ნახევარ რკალი-

სებური ფორმის 15 მ სიგრძის გვირაბი.

ტოგის VIII მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ოქროჯანაშვილის მღვიმიდან მარჯვნივ 150 მ-ზე, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 780 (230) მ სიმაღლეზე. სიგრძე 125 მ.

ტოგის IX მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ოქროჯანაშვილის მღვიმის მახლობლად, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 780 (230) მ სიმაღლეზე. სიგრძე 20 მ.

ტოგის X მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ოქროჯანაშვილის მღვიმის მახლობლად, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 780 (230) მ სიმაღლეზე. სიგრძე 24 მ.

ტოგის XI მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ოქროჯანაშვილის მღვიმის მარცხნივ, 60 მეტრიანი ფლატის ძირას, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ.დ. 715 (225) მ სიმაღლეზე. სიღრუე წარმოადგენს 15 მ სიგრძის გრანდიოზულ ეხს.

ტოგის XII მღვიმე – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ოქროჯანაშვილის მღვიმის მარცხნივ, 60 მეტრიანი ფლატის ძირას, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 6 კმ-ზე, ზ. დ. 790 (240) მ სიმაღლეზე. სიღრუე წარმოადგენს 10 მ სიგრძის გრანდიოზულ, ორსართულიან ფარდულს.

ტოლონკლდის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. შუქრუთის მიდამოებში. 10 მეტრი სიგრძის კლდოვანი ფარდული.

ტროლიას შახტი (Тролля) _ გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ყოეკვარას ტროგული ხეობის ზემო წელში, „ყინულიანი დრაკონის“ შახტის მახლობლად, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 100 მ, ჯამური სიგრძე 370 მ-ს აღწევს.

ტურისტ სუბაბას ჭა – ჩხოროწყუს მუნიციპ-ი, მიგარიას კირქვული მასივის ცენტრალური ნაწილის დას-თ ფრთაზე, ვანო გულედანის მღვიმის სამხრ-ით 70 მ-ში, ზ. დ. 1010 მ სიმაღლეზე. X: 274.592; Y: 4724 459. 7 მ სიღრმის ჭა ფსკერზე გაუვალი პონორით იხშობა, რომელშიც წყლის მცირე ნაკადი ჩაედინება.

ტყიბულა-ძევრულას მღვიმე – ტყიბულისა და თერჯოლის რაიონების საზღვარზე, ოკრიბა-არგვეთის ქედი, მდ. ტყიბულა-ძევრულას აუზი, ს. ძევრის მახლობლად, ზ. დ. 490 მ სიმაღლეზე.



მღვიმის ყველაზე დაბალი წერტილი 220 მ-ია. მღვიმეში გამავალი მდინარე ს. ძევრში ძევრულას წყა-

როს სახელით გამოედინება. გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 1635 მ-ს შეადგენს.

ტუუპები (Двойняшка) _ გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2028 მ სიმაღლეზე. შახტის ჯამური სიღრმე 112 მ, სიგრძე 170 მ შეადგენს.

T—72/50 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, უსახელო მწვერვალის (2 337,3 მ) აღმ-ით 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 2325 მ სიმაღლეზე. ჭა 50-ე მეტრზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

T—72/54 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, ზ. დ. 2250 მ სიმაღლეზე. შახტი 54-ე მეტრზე ნაზვავით იქოლება.

T—72/56 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ზ. დ. 2270 მ სიმაღლეზე. შახტი იწყება 25 მ-იანი ჭით, რომლის ფსკერი თოვლ-ყინულის მასით არის ამოვსებული.

T—72/57 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ზ. დ. 2475 მ სიმაღლეზე. შახტი დამრეცფსკერიანი დერეფნის მეშვეობით 57 მ სიღრმემდე ვრცელდება და გაუვალი ნაპრალით იხშობა.

T—72/64 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ხიმსულის შახტის სამხრ.-აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. შახტი 64-ე მეტრზე ნაზვავით იქოლება.

T—72/67 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, T—72/50 ჭის აღმ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 2350 მ სიმაღლეზე. 67-ე მეტრზე ნაზვავით იხშობა.

T—72/69 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის ცენტრალური ნაწილი, მწვ. ტვანშას სამხრ-ით 1,3, ზ. დ. 2450 მ სიმაღლეზე. შახტი 69 მ სიღრმემდე ვრცელდება.

T—72/74 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ხიმსულის შახტის სამხრ.-აღმ-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. შახტი 74-ე მეტრზე ნაპრალით იხშობა.

T—72/75-1 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, T —72/74 ჭის სამხრ-ით 30 მ-ზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. შახტი 75 მ სიღრმემდე ვრცელდება.

T—72/75-2 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, T—72/75-1 ჭის სამხრ-ით 30 მ-ზე. რთული კონფიგურაციის მქონე შახტი მოკლე საფეხურებისა და ჭების მონაცვლეობით 75 მ სიღრმემდე ვრცელდება.

T—72/78 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის კირქვული მასივის ცენტრალური ნაწილი, ზ. დ. 2275 მ სიმაღლეზე. შახტი 78-ე მეტრზე თოვლ-ყინულიანი მასით იხშობა.

Т—73/50 (Томск) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან სამხრ-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 2120 მ სიმაღლეზე. შახტი 50-ე მეტრზე დახრილფსკერიანი დარბაზით მთავრდება.

Т—73/52 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან ჩრდ.-დას-ით 200 მ-ზე, შაცხოცრას მღვიმიდან ჩრდ.-დას-ით 30 მ-ზე, ზ. დ. 2340 მ სიმაღლეზე. შახტი 52-ე მეტრზე თოვლ-ყინულიანი ნაზვავით იქოლება.

Т—73/66 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან აღმ-ით 60 მ-ზე, შაცხოცრას შახტიდან სამხრ.-აღმ-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 2320 მ სიმაღლეზე. შახტი 66-ე მეტრზე ნაზვავით იქოლება.

Т—73/72 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან ჩრდ.-დას-ით 250 მ-ზე, ზ. დ. 2315 მ სიმაღლეზე. შახტი 72-ე მეტრზე თოვლითა და კირქვის ლოდების ნაყარით მთავრდება.

Т—73/92 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან სა-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2250 მ სიმაღლეზე. შახტი 92-ე მეტრზე ნაზვავით იქოლება.

Т—73/93 (Томск)– გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, შაცხოცრას უღელტეხილიდან ჩრდ.-დას-ით 300 მ-ზე, ზ. დ. 2320 მ სიმაღლეზე. შახტში ჩასასვლელი ხვრელი (დიამეტრი 2 მ) პატარა კარული პლატოს ცენტრში იხსნება. შახტის ზომები ფსკერამდე (93 მ) თითქმის არ იცვლება.

ТК—78/52 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. აბაცის მიდამოებში, უსახელო მწვერვალის (2 236 მ) აღმ-ით. 0,35 კმ-ზე. ჩასასვლელი ხვრელი (3x4 მ) ბოლომდე ერთდაიმავე ფორმას ინარჩუნებს და 52 მ სიღრმეზე ნაზვავით იხშობა.

ТК—79/55 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ТК–79/25-2 ჭის სამხრ.-აღმ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 55 მ, გაჭიმულობა 80 მ.

ТК-79/60 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ.-დას. ნაწილი, ჰაცვერძიხის შახტის აღმ-ით 160 მ-ზე, ზ. დ. 1725 მ სიმაღლეზე. შახტი 60 მ სირმეზე თოვლ-ყინულოვანი ნაზვავით იქოლება, გაჭიმულობა 165 მ-ს აღწევს.

ТК—79/75 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, მწვ. აბაცის სამხრ-ით 0,4კმ-ზე, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. შახტი 75 მ სიღრმემდე ვრცელდება და ნაზვავით იხშობა.

ТК—80/31 (Томский клуб спелеологов – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ციარტყელას შახტის დას-ით 0,15 კმ-ზე, ზ. დ. 2250 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი (2x3 მ) 32-ე მეტრზე გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ТК—80/56 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის უკიდურესი ჩრდ.-დას., „პანტიუხინის" უფსკრუ-

ლის დას-ით 0,4 კმ-ზე, ზ. დ. 1700 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 57 მ, გაჭიმულობა 180 მ.

ТК—80/62 (Томский клуб спелеологов) – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივი, ადგ. აბაცის მიდამოებში, უსახელო მწვერვალის (2 336,1 მ) აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 2150 მ სიმაღლეზე. შახტი 62 მ სიღრმემდე ვრცელდება.

